ვერსია

№6 (1696) 27 მარტი — 2 აპრილი ოთხშაბათი 2024 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

შსს-ს 2023 წლის ანგარიში

ვახტანგ გომელაურმა პარლამენტში, „მინისტრის საათის“ ფორმატში, სამინისტროს ანგარიში წარადგინა

„მე უდანაშაულო ვარ!“ — პუტინის სისხლიანი თამაშები

ბესლანის ტრაგედიიდან „კროკუს სითი ჰოლის“ ტერაქტამდე

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

უყაირათოდ გაფლანგული საბიუჯეტო სახსრები დევნილთა საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფაში!

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

თამბაქოს აქციზის გადასახადი მცირდება?

კორუფციული გარიგების ნიშნები კანონპროექტში — რას წარმოადგენს ლიბანური ინვესტიციით დაფუძნებული კომპანია „ეიჩ ჰუკა“ და რატომ არღვევს სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ „თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციას“

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქობულეთში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი, 1977 წელს დაბადებული ლ.გ., განზრახ მკვლელობის ბრალდებით ქობულეთში დააკავეს.

დანაშაული 10 -დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ქობულეთში, ნაცნობს – 1993 წელს დაბადებულ თ.გ.-ს, მათ შორის არსებული უთანხოების ნიადაგზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანიდან მალევე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ლ.გ. ცხელ კვალზე, ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო შეუერთდა აქციას – „დედამიწის საათი“

შინაგან საქმეთა სამინისტრო შეუერთდა გლობალურ გარემოსდაცვით აქციას – „დედამიწის საათი“ და ადმინისტრაციულ შენობებზე განათება გამორთო.

შინაგან საქმეთა სამინისტრო 20:30 საათიდან 21:30 საათამდე, ელექტროენერგიის მოხმარებაზე უარის თქმით შეურთდა ყოველწლიურ კამპანიას, რომლის დროსაც მილიონობით ადამიანი, ერთი საათის განმავლობაში, ელექტროენერგიას არ იყენებს და ამით პლანეტის მწვანე და უსაფრთხო მომავლის მხარდაჭერას გამოხატავს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკოდანაშაულისთვის 11 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, თბილისის, აჭარის, კახეთისა და გურიის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით, 11 პირი დააკავეს.

დაკავებულებს შორის არიან, როგორც საქართველოს, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვის და გასაღების მომზადების, მარიხუანას უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების, გასაღების მცდელობის, ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა-მოყვანისა და კულტივირების ფაქტებზე დაკავებულები არიან: 1988 წელს დაბადებული გ.კ., 1995 წელს დაბადებული ე.მ., 1984 წელს დაბადებული გ.ტ., 2000 წელს დაბადებული ლ.ჩ., 1998 წელს დაბადებული მ.პ., 1999 წელს დაბადებული მ.ი., 1979 წელს დაბადებული გ.ჯ., 1969 წელს დაბადებული კ.დ. 1974 წელს დაბადებული შ.გ., ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეები: 1989 წელს დაბადებული ა.ც. და 1993 წელს დაბადებული ა.გ.

დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ჩატარებული კომპლექსური საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დადგინდა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე ა.ც. ინტერნეტ-აპლიკაცია „ტელეგრამში“ ნარკოტიკების სარეალიზაციო, ე.წ. მაღაზიას ფლობდა. აღნიშნული აპლიკაციის მეშვეობით, ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანას“ რეალიზაცია ხდებოდა.

გამოძიების ფარგლებში, ამავე საქმეზე, დაკავებულია ა.ც.-ს მოკავშირე – გ.კ.-ც. სამართალდამცველებმა ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით, ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“ და ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარე „კანაფი“ ამოიღეს.

ამავე, დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, დაკავებული ე.მ.-ს პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ და „მარიხუანა“.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, თბილისში, გ.ტ.-ს პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად 20 შეკვრა ნარკოტიკული საშუალება „ალფა პვპ“ ამოიღეს, რომლის განთავსებასაც ბრალდებული სხვადასხვა ლოკაციაზე, შემდგომი რეალიზაციის მიზნით გეგმავდა.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამი პირის – ლ.ჩ. -ს, მ.პ-ს. და მ.ი. -ს პირადი ჩხრეკისას, ასევე, მათ მიერ მითითებული სხვადასხვა ლოკაციიდან, ნივთმტკიცებად, სარეალიზაციოდ გამზადებული ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“ ამოიღეს.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ბათუმში, უცხო ქვეყნის მოქალაქე ა.გ.-ს საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს „მარიხუანა“ და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარე „კანაფი“. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული აღნიშნული მცენარის კულტივირებას საცხოვრებელ სახლში მოწყობილ სპეციალურ სათბურებში ახდენდა.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგარეჯოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, გ.ჯ.-ს საცხოვრებელ სახლსა და დამხმარე სათავსოებში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად „მარიხუანა“ ამოიღეს.

გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, კ.დ.-ს და შ.გ.-ს პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინი“ ამოიღეს.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვის და გასაღების მომზადების, მარიხუანას უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების, გასაღების მცდელობის, ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა-მოყვანისა და კულტივირების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 18-260-ე, 265-ე, 273-ე პრიმა და 19-273-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს.

ყოველწლიური კონფერენცია – „ქალები პოლიციაში“ დასრულდა

კონფერენცია – „ქალები პოლიციაში“ რომელიც ყოველწლიურად, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) მხარდაჭერით იმართება, დასრულდა.

კონფერენციის გახსნით ღონისძიებაზე, სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში, რობინ დანიგანმა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) საქართველოს ოფისის დირექტორმა, სარა რუპერტმა.

ღონისძიების დახურვის ცერემონიაზე, ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი, ხოლო რამდენიმე ქალი პოლიციელი, შინაგან საქმეთა სამინისტროში წარმატებული საქმიანობისთვის აშშ-ის ელჩის მოადგილე ალან პერსელმა დააჯილდოვა.

კონფერენციას წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული დანაყოფიდან 90 ქალი პოლიციელი ესწრებოდა. ღონისძიება მიზნად ისახავდა ქალ სამართალდამცველთა შესაძლებლობების გაძლიერებასა და მათი მოტივაციის ამაღლებას.

კახეთის პოლიციამ განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით ერთი პირი ცხელ კვალზე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1978 წელს დაბადებული თ.თ. ოჯახის წევრის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვანში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტის დროს, მეუღლე – 1981 წელს დაბადებული თ.ო. და მეუღლის ნათესავი – 2009 წელს დაბადებული გ.მ. ცივი იარაღით დაჭრა, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებების შედეგად, თ.თ. ცხელ კვალზე დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებდ ამოიღო.

ოჯახის წევრის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 19-109-ე მუხლით მიმდინარეობს.

„მე უდანაშაულო ვარ!“ – პუტინის სისხლიანი თამაშები

ნინო დოლიძე

„დანაშაული რადიკალმა ისლამისტებმა ჩაიდინეს... ჩვენ გვაინტერესებს, ვინ გასცა ეს ბრძანება“, – ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა „კროკუს სითი ჰოლში“ მომხდარ ტერაქტზე საუბრისას განაცხადა. ამასთან, რუსეთის დიქტატორი არ გამორიცხავს, რომ თავდასხმა, შესაძლოა, „კიევის ნეონაცისტურ რეჟიმს“ უკავშირდებოდეს.

„ჩვენ ვიცით, რომ დანაშაული რადიკალმა ისლამისტებმა ჩაიდინეს, რომელთა იდეოლოგიას თავად ისლამური სამყარო საუკუნეების განმავლობაში ებრძვის. ვიცით, ვისი ხელით ჩაიდინეს ეს სისასტიკე რუსეთისა და მისი ხალხის წინააღმდეგ. ჩვენ გვაინტერესებს ის, ვინ გასცა ეს ბრძანება...

ეს სისასტიკე შეიძლება იყოს მხოლოდ ბმული იმ მცდელობების მთელი სერიიდან, ვინც 2014 წლიდან ებრძოდა ჩვენს ქვეყანას ნეონაცისტური კიევის რეჟიმის ხელით“, – განაცხადა პუტინმა.

ბესლანის ტრაგედიიდან „კროკუს სითი ჰოლის“ ტერაქტამდე

სანამ პუტინი ამ განცხადებას გაკეთებდა, რუსეთის პროკურატურამ 22 მარტს, მოსკოვის მახლობლად, საკონცერტო დარბაზში განხორციელებულ ტერაქტში ბრალდებულებს ბრალი წაუყენა.

რუსეთის მედია ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით ამბობს, რომ საიდაქრამ რაჯაბალიზოდა, დალერჯონ მირზოევი, მუჰამადსობირ ფაიზოვი და ფარიდუნ შამსიდინი ტაჯიკეთის მოქალაქეები არიან. სასამართლოს განცხადებით კი, დახურულ მოსმენაზე სამმა ბრალდებულმა დანაშაული ყველა წაყენებულ ბრალდებაში აღიარა.

ამასთან, გავრცელდა ვიდეოჩანაწერები, რომელთა ავთენტიკურობა დამოუკიდებელ წყაროებს არ დაუდასტურებიათ. ვიდეოზე, სავარაუდოდ, რამდენიმე ეჭვმიტანილის ანუ ტაჯიკეთის მოქალაქეების დაკითხვაა ასახული.

ამ ჩანაწერების გავრცელებამდე, უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა (FSB) განაცხადა, რომ კრასნოგორსკში, „კროკუს სიტი ჰოლში“ სისხლიან თავდასხმასთან დაკავშირებით დაკავებული 11 ეჭვმიტანილი უცხოელი იყო.

აღსანიშნავია, რომ ტაჯიკეთის მთავრობა კრემლის ახლო მოკავშირეა. ამასთან, ოფიციალური დუშამბე ამტკიცებს, რომ კრემლისგან „ოფიციალური ინფორმაცია“ თავდასხმაში ტაჯიკების სავარაუდო მონაწილეობის შესახებ არ მიუღია.

ტაჯიკეთის ისლამური აღორძინების ოპოზიციური პარტიის ლიდერი მუჰიდინ ქაბირის განცხადებით, ოპოზიციას აქვს ინფორმაცია, რომ ტაჯიკეთის რამდენიმე მოქალაქემ და ტაჯიკეთ-რუსეთის მოქალაქეებმა მიიღეს მონაწილეობა მოსკოვის საკონცერტო დარბაზში ამტყდარ ხოცვა-ჟლეტაში, რომელსაც სულ ცოტა, 137 ადამიანი შეეწირა.

ქაბირიმ დაადანაშაულა ტაჯიკეთის მთავრობის ავტორიტარული პოლიტიკა და ისლამის „ჩახშობა“ მისი ზოგიერთი მოქალაქის „რადიკალიზაციის“ გამო.

ტაჯიკეთის ისლამური აღორძინების პარტია, რომლის წარმომადგენლები მთავრობაშიც იყვნენ, ქვეყანაში აკრძალულია.

რუსმა დეპუტატმა, ალექსანდრ ჰინშტეინმა „ტელეგრამ“-არხზე დაწერა, რომ ტაჯიკეთის პასპორტები იპოვეს იმ მანქანაში, რომლითაც ეჭვმიტანილები, სავარაუდოდ, გაიქცნენ, სანამ მათ რუსეთის პოლიცია დააკავებდა ბრიანსკის რეგიონში, მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით, 340 კილომეტრში.

* * *

რაჯაბალიზოდა, რომელსაც შემდგომ ტერორიზმის ბრალდება წაუყენეს, ორ სხვადასხვა ვიდეოჩანაწერში გამოჩნდა. ის ორივე ჩანაწერში აღიარებს მოსკოვის ტერაქტში მონაწილეობას. მკაფიო კადრებში ჩანს, როგორ აჭრის მას ყურს რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომელი.

მას თავი დოლბანდით აქვს შეხვეული და სისხლიანი მაისური აცვია. ის ამბობს, რომ სხვა თანამზრახველებთან ერთად, იარაღი „სადღაც, გზაზე“ დატოვა, როცა შემთხვევის ადგილიდან გარბოდნენ. რადიო „თავისუფლებამ“ ამ კადრების ნამდვილობის დადასტურება ვერ შეძლო.

მეორე, ასევე, დაუდასტურებელ ვიდეოჩანაწერში ჩანს ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ხელბორკილები ადევს. ის ჰყვება, რომ უცნობმა პირებმა დაიქირავეს „ტელეგრამ“-ის საშუალებით, რათა ფულის სანაცვლოდ ესროლა ხალხისთვის.

პირი, რომელიც რუსულად, ტაჯიკური აქცენტით ლაპარაკობს და თავს წარმოადგენს ფარიდუნ შამსიდინად, ამბობს, რომ 1998 წელს დაიბადა.

მისი თქმით, დაუკავშირდა „ასისტენტი მუსლიმი ქადაგისა“, რომლის ლექციებსაც „ტელეგრამ“-ში უსმენდა.

შამსიდინის თანახმად, ასისტენტმა მას შესთავაზა მილიონი რუბლი (11 ათას დოლარამდე) ხალხის დახოცვისთვის, იარაღი და მიუთითა თავდასხმის ადგილი.

ასისტენტმა მას არ მისცა ინფორმაცია „არც სახელის, გვარის, ან სხვა რამის შესახებ“. მისივე თქმით, თავდასხმამდე, „ფულის ნახევარი“ გადაეცა.

შამსიდინი და სხვა ეჭვმიტანილები, რომლებიც დააკავეს და რომლებიც ვიდეოზე ჩანან, არ ახსენებენ არც ისლამისტურ დაჯგუფებას „ისლამურ სახელმწიფოს“, რომელმაც იკისრა მომხდარზე პასუხისმგებლობა და არც „ისლამურ სახელმწიფო-ხორასანს“, რომელსაც, ასევე, მოიხსენებენ, როგორც თავდასხმის შესაძლებელ მონაწილედ.

არის კიდევ ერთი, მოკლე ვიდეო, რომელზეც მესამე ეჭვმიტანილია გამოსახული – უცნობი პირი, რომელიც ტაჯიკურად ლაპარაკობს და დამკითხავებს თარჯიმნის საშუალებით უყვება, რომ იყო უმუშევარი და ეძებდა სამუშაოს. ამ დროს, „ტელეგრამ“-ის საშუალებით, „დაახლოებით, ათი დღის წინ“, დაუმეგობრდა ვინმე აბდულოს. მისი ნაამბობით, აბდულომ შესთავაზა მანქანის ერთად ყიდვა და ტაქსისტად მუშაობა.

„აბდულო ჩვენთან ერთად იყო“, – თქვა მან, თუმცა არ არის ცხადი, გულისხმობდა თუ არა ის უშუალოდ თავდასხმას.

რუსეთის მედიის თანახმად, ბრიანსკში დაკავებულ ეჭვმიტანილებს შორისაა 19 წლის მუჰამადსობირ ფაიზოვი, რომელიც ტაჯიკეთის დედაქალაქ დუშამბედანაა.

გავრცელებული ცნობით, დაკავების წინ, ფაიზოვი დაიჭრა და მას ბრიანსკის საავადმყოფოში მკურნალობდნენ, საიდანაც რუსეთის სამართალდამცველებმა წაიყვანეს.

რუსეთის სოციალური მედიის პლატფორმაზე – „კონტაკტ“-ზე ორი ანგარიში უკავშირდება ფაიზოვს. აქედან ჩანს, რომ ის ნოემბრამდე მუშაობდა საპარიკმახეროში, რუსეთის ქალაქ ივანოვოში.

რამდენიმე სხვა, ასევე თავდასხმაში ეჭვმიტანილი, სავარაუდოდ, ტაჯიკეთის მოქალაქეები არიან, მათი ვინაობა და ფოტოებიც გამოჩნდა რუსულ ვებ-საიტებზე.

მათ შორის იყო შოჰინ საფოლზოდა, ტაჯიკეთის ფაიზობოდის რაიონის მკვიდრი. ცოტა რამ არის ცნობილი საფოლზოდას შესახებ ან იმაზე, თუ რატომ მიიღო მან, სავარაუდოდ, მონაწილეობა თავდასხმაში.

ტაჯიკეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ სწრაფად უარყო რუსეთის მედიის ცნობები ტაჯიკეთის სამი მოქალაქის – რივოჯიდინ ისმონოვის, მაჰმადრასულ ნასრიდინოვისა და რუსტამ ნაზაროვის – თავდასხმაში მონაწილეობის თაობაზე და განაცხადა, რომ 22 მარტს, თავდასხმის დროს, ორი მათგანი სახლში იმყოფებოდა, ტაჯიკეთში, ხოლო მესამე – სამსახურში, რუსეთის ქალაქ სამარაში, რომელიც მოსკოვიდან რამდენიმე ასეული კილომეტრითაა დაშორებული.

თუმცა სამინისტროს კომენტარი არ გაუკეთებია სხვა ტაჯიკების შესახებ, რომლებიც ვიდეოების მიხედვით, სავარაუდოდ, დააკავეს და დაკითხეს.

ამ ცნობებისა და ვიდეოჩანაწერების გავრცელების შემდეგ, მკვეთრად გაიზარდა ანტიტაჯიკური და ანტიმიგრანტული განწყობა რუსეთში, რაც ისედაც ყოველთვის არსებობდა ამ ქვეყანაში, სადაც ტაჯიკეთიდან და შუა აზიის სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ჩასული უამრავი ადამიანი ცხოვრობს.

ასე, მაგალითად, შორეულ აღმოსავლეთში, ბლაგოვეშჩენსკში დაწვეს სასადილო, სადაც ტაჯიკი მიგრანტები მუშაობდნენ. კალუგაში, რუსეთის დასავლეთში, გავრცელდა ცნობა სამი ტაჯიკის ცემის შესახებ.

ეს არის ის ინფორმაცია, რომელიც „რადიო თავისუფლებამ“ მოსკოვის ტერაქტში ეჭვმიტანელიბის შესახებ რამდენიმე დღის წინ გაავრცელა. 25 მარტს კი ცნობილი გახდა, რომ ტერაქტში მონაწილეობის ბრალდებით, რუსმა სამართალდამცავებმა კიდევ სამი პირი დააკავეს.

„მოსკოვის ბასმანის სასამართლომ, გამოძიების მოთხოვნით, „კროკუს სითი ჰოლში“ მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეზე სამი ეჭვმიტანილი დააკავა. დაკავებულები ძმები დილოვარი და ამინჩონ ისლომოვები, ასევე მათი მამა – ისროილი არიან. ისინი ორი თვით დააპატიმრეს.

სასამართლოს მასალების მიხედვით, ეჭვმიტანილებს ბრალი ედებათ ორგანიზებული ჯგუფის შემადგენლობა-

დასასრული მე-4 გვერდზე

„მე უდანაშაულო ვარ!“ – პუტინის სისხლიანი თამაშები

მე-3 გვერდიდან

ში ტერორისტული აქტის ჩადენაში, რამაც ადამიანების სიკვდილი გამოიწვია (რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე მუხლის მე-3 ნაწილის პუნქტი „ბ“ ფედერაცია). დილოვარსა და ამინჩონ ისლომოვებს ბრალი უკვე წაუყენეს, მამა ეჭვმიტანილი რჩება.

დილოვარი და მისი 33 წლის ძმა ამინჩონი საგამოძიებო კომიტეტში საკუთარი ნებით მივიდნენ.

„ჩვენ თვითონ გამოვედით, როცა გავიგეთ, რომ ჩემი მანქანა ნახეს“, – თქვა დილოვარ ისლომოვმა.

ამინჩონ ისლომოვმა, როდესაც მოსამართლემ ჰკითხა, გაიგო თუ არა რაში ადანაშაულებენ, უპასუხა – „მე უდანაშაულო ვარ“ – იუწყება მედია.

სხვათა შორის, მოსკოვის საკონცერტო დარბაზში მომხდარი თავდასხმა, ბესლანის ტრაგედიის შემდეგ, ყველაზე მასშტაბურია. თავდასხმაზე პასუხისმგებლობა „ისლამური სახელმწიფოს“ დანაყოფმა – „ხორასანი“ აიღო, რომელიც ერთ-ერთიმ ყველაზე სასტიკი და დაუნდობელი დაჯგუფებაა. ვარაუდობენ, რომ ამ დაჯგუფების სამიზნე რუსეთი იმიტომ გახდა, რომ მოსკოვს თალიბანთან კარგი ურთიერთობა აქვს, მასთან კი „ხორასანის“ დაჯგუფება დაპირისპირებულია.

ამასთან, ვრცელდება ინფორმაცია, რომ თავდასხმების შესახებ ვაშინგტონმა კრემლი გააფრთხილა, თუმცა მოსკოვმა გაფრთხილება სერიოზულად არ მიიღო. საკუთარ მოქალაქეებს სიფრთხილისკენ მოუწოდა დიდმა ბრიტანეთმა და შეერთბულმა შტატებმა. მომხდარის გამო საფრანგეთში ტერაქტების საფრთხე უმაღლეს დონემდე გაზარდეს.

საგულისხმოა, რომ მოსკოვის საკონცერტო დარბაზში ტერაქტი რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებიდან რამდენიმე დღეში მოხდა. შესაბამისად, გაჩნდა საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ტერაქტი – არც მეტი, არც ნაკლები – თავად კრემლის ანუ პუტინის ინტერესებში შედიოდა.

ზოგადად, ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ პუტინი მსგავს სისხლიან ავანტურებზე მაშინ მიდის, როცა მისი რეიტინგი ეცემა. ამ შემთხვევაში, რეიტინგის დაცემა თითქოს არ იგრძნობა – საპრეზიდენტო არჩევნებში კიდევ ერთხელ უპირობოდ გაიზარდა, მაგრამ არსებობს ერთი „მაგრამ“ – ვლადიმერ ვლადიმერის ძეს ეგონა, არა, კი არ ეგონა, დარწმუნებული იყო, რომ კიევს ორ საათში აიღებდა და უკრაინას დაიმონებდა, მაგრამ როცა პუტინი ბჭობდა, დემონი იცინოდა ანუ ორი წელია, ზელენსკი და, საერთოდ, მთელი უკრაინა პუტინის თავის ტკივილად იქცა.

მართალია, ამის შესახებ რუსული პროპაგანდისტული მანქანა დუმს, მაგრამ სხვადასხვა წყაროებით ცნობილი ხდება, რომ გაუთავებელი ომის გამო, რუსეთის მოსახლეობაში უკმაყოფილება თანდათან იზრდება. შესაბამისად, რა გასაკვირია, რომ პუტინს წარსული გაეხსენებინა და ნაცადი ხერხისთვის მიემართა, იმ ხერხისთვის, რომელიც ჯერ ჩეჩნეთის ე.წ. მეორე ომის დროს, შემდეგ კი ბესლანში გამოიყენა.

აქედან გამომდინარე, სავებით ლოგიკურია, რომ მოსკოვის ახლანდელმა ტერაქტმა ბევრს სწორედ ბესლანის ტრაგედია გაახსენა, რომელიც 2004 წლის პირველ სექტემბერს დატრიალდა:

2004 წლის 1-ელ სექტემბერს, ოთხშაბათს, 09:30 საათზე, ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქ ბესლანის N1 საშუალო სკოლის ეზოში ბავშვების საზეიმო შეკრების დროს, შენობას რამდენიმე ავტომობილი მიუახლოვდა. ავტომობილებში ნიღბიანი ტერორისტები ისხდნენ, მათ მუქი ტანისამოსი და ჯავშანჟილეტები ეცვათ. ნიღბიანებმა ავტომანქანიდან გადმოსვლისთანავე ჰაერში გასროლა დაიწყეს. 50-მდე ბავშვმა გაქცევა სწორედ ამ დროს მოასწრო. ხოლო ისინი, რომლებიც ეზოში დარჩნენ – მოსწავლეები, მშობლები და მასწავლებლები, ტერორისტებმა მძევლებად აიყვანეს.

რუსეთის ფედერაციის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურმა მაშინვე გაავრცელა ცნობა, რომ ბესლანის N1 სკოლას თავს 17 „ბოევიკი“ დაესხა, მათ შორის იყვნენ, როგორც მამაკაცები, ასევე, ქალები და მინიმუმ, ორ ქალს ე.წ. შაჰიდის ქამარი ეკეთა. დროთა განმავლობაში, ცნობილი გახდა, რომ „ბოევიკთა“ რაოდენობა 17 კი არა, 20-25 იყო.

სკოლის შენობაში შესვლისთანავე, „ბოევიკებმა“ შენობის ყველა გასასვლელთან ბარიკადები ააგეს და კარები ჩახერგეს. საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, ისინი მოლაპარაკებებზე არ გადიოდნენ და საზოგადოებისთვის უცნობი იყო მოთხოვნები... „ბოევიკებმა“ სკოლის სპორტული დარბაზი დანაღმეს და ბავშვები იქ შეყარეს. უფროსები კი – მშობლები და მასწავლებლები ცალკე ჰყავდათ დატყვევებული.

დანაღმული იყო, ასევე, სკოლის შენობის შემოგარენი. ტერორისტებმა განაცხადეს, რომ როგორც კი ხელმძღვანელობა სკოლის შენობის შტურმით აღების ბრძანებას გასცემდა, ყველა ნაღმს აამოქმედებდნენ და ყველაფერს ააფეთქებდნენ. სკოლის შენობის ყველა ფანჯარასთან ტერორისტებმა ცოცხალ ფარად ბავშვები ჩაამწკრივეს.

მას შემდეგ, რაც „ბოევიკებმა“ სკოლის შენობა „აითვისეს“ და ყველა მძევალი „საჭირო ადგილას დააბინავეს“, ფანჯრიდან გადმოაგდეს ვიდეოფირი და წერილი, სადაც სავაუდოდ მათი მოთხოვნები იქნებოდა ჩამოყალიბებული. ვიდეოფირი ცარიელი აღმოჩნდა, წერილში კი ეწერა, რომ ტერორისტები ბავშვების გათავისუფლების სანაცვლოდ, ჩეჩნეთიდან რუსული ჯარის გამოყვანას, ჩრდილო ოსეთის პრეზიდენტთან ალესანდრე ზასოხოვთან, ინგუშეთის ხელმძღვანელთან მურატ ზიაზიკოვთან და ბავშვთა გადაუდებელი ქირურგიული ცენტრის დირექტორთან ლეონიდ როშალთან შეხვედრას ითხოვდნენ. სხვათა შორის, სწორედ როშალი აწარმოებდა მოლაპარაკებებს „ბოევიკებთან“ 2002 წელს, როდესაც დუბროვკაზე, თეატრალურ ცენტში მძევლები აიყვანეს.

ტერორისტებმა განაცხადეს, რომ ყოველ მოკლულ ტერორისტზე 50 მძევალს დახოცავდნენ, დაჭრილზე – 20-ს.

იმავე დღეს, ბესლანში ექიმი ლეონიდ როშალი ჩავიდა და ტერორისტებტან მოლაპარაკებები დაიწყო. საღამოს დაწყებული მოლაპარაკებები 2 სექტემბრის დილის 03:00 საათამდე გაგრძელდა. მერე „ბოევიკებმა“ კავშირი გაწყვიტეს. მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა – წყლის, საკვებისა და მედიკამენტების სკოლის შენობაში შეტანა ვერ მოხერხდა. „ბოევიკები“ ფრთხილობდნენ, რომ საკვებში მათ ფსიქოტროპული საშუალებები არ შეეპარებინათ...

ტერორისტებმა მძევალთა ერთი ნაკადი, 26 ადამიანი, მეორე დღეს გაათავისუფლეს. ეს ინგუშეთის ყოფილი პრეზიდენტის რუსლან აუშევის ჩარევის შედეგად მოხდა. 26 ადამიანიდან 11 ქალი და 15 ბავშვი იყო, მათ შორის, ყველაზე პატარა თვენახევრის, ყველაზე დიდი კი – 8 წლის.

როგორც იქნა, დუმილი დაარღვია რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმაც და ბესლანის მოვლენაზე პირველი კომენტარი გააკეთა.

„ჩვენი უმთავრესი ამოცანა ახლა მდგომარეობს იმაში, რომ ვიხსნათ და გადავარჩინოთ მძევალთა სიცოცხლე“, – განაცხადა ვლადიმერ პუტინმა,

თუმცა, მიუხედავად ამისა, ტერორისტთა მიერ ქალაქ ბესლანში, სკოლის შენობის ბლოკირებისა და მძევლების აყვანის თითქმის პირველივე წუთიდან, ჩრდილო ოსეთში რუსეთის არმიის სამხედრო საჰაერო ძალებმა, ქალაქ ბესლანსა და მის შემოგარენში რუსული არმიის სპეცდანიშნულების რაზმების გადასროლა დაიწყეს. ეს მაშინ რუსეთის სამხედრო საჰაერო ძალების მთავარსარდალმა გენერალმა ვლადიმერ მიხაილოვმა პირადად დაადასტურა.

მიხაილოვი მაშინ აცხადებდა, რომ ბესლანში გადასროლილი იქნება იმდენი რაოდენობის „სპეციალისტი, რამდენიც საჭირო გახდება“, – მოსწავლეთა სიცოცხლის გადასარჩენი ღონისძიებებისთვის.

თითქმის პირველივე წუთებიდან გადაკეტილი იყო ასევე საქართველოსთან საზღვარიც.

მეორე დღეს, 2 სექტემბერს, მას შემდეგ რაც, „ბოევკებმა“ უარი განაცხადეს საკვების, წყლის, მედიკამენტებისა და ჩეჩნეთში ან ინგუშეთში თავისუფალი დერეფნით გასვლაზე, მძევლების ნათესავებმა და ახლობლებმა რუსეთის პრეზიდენტს, ვლადიმერ პუტინს ვიდეომიმართვა გაუგზავნეს, სადაც „ბოევიკების“ მოთხოვნების შესრულებას სთხოვდნენ.

მესამე დღეს, 3 სექტემბერს, „ბოევიკებთან“ კვლავ მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, მაგრამ უშედეგოდ სრულდებოდა.

ამავე დღეს ოფიციალური განცხადება გააკეთა ჩრდილო ოსეთის პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ლევ ძუგაევმა, რომელმაც განაცხადა, რომ სკოლის შტურმი მანამ არ დაიწყებოდა, ვიდრე არსებობდა საშუალება მძევალთა მოლაპარაკებების გზით გათავისუფლებისა. ეს განცხადება ძუგაევმა 3 სექტემბერს, 01:30 საათზე გააკეთა...

ამ დღეს შტურმის დაწყებას ქალაქში არავინ ელოდა. უჩვეულო სიმშვიდე იყო და ამბობდნენ, გაჩნდა იმედი „ბოევიკებთან“ მოლაპარაკებისაო, მაგრამ...

13:05 საათზე, სკოლის შენობასთან ორი მძლავრი აფეთქება გაისმა და სროლაც დაიწყო... დაიწყო შტურმი... ქალაქში ყველაფერი აირია, სკოლის მხრიდან ქუჩებში გამორბოდნენ დასისხლიანებული ქალები და ბავშვები... ისმოდა სროლები და აფეთქებები... ამავე დროს, თავად ქალაქ ბესლანში ადგილობრივ ინგუშებსა და ოსებს შორის დაპირისპირება დაიწყო... „ბოევიკებმა“ იმ დერეფნის მიზანმიმართული დაცხრილვა დაიწყეს, საიდანაც მძევლები გამოჰყავდათ. სკოლის შენობას მძლავრი აფეთქებების შემდეგ ცეცხლი გაუჩნდა...

სკოლის შტურმმა ბევრის სიცოცხლე წაიღო... ტერორისტების ქმედებებმა, რამდენიმე „ბოევიკის“ ხელში ჩაგდების ცდუნებამ და ძალიან ცუდად ორგანიზებულმა „სამაშველო ოპერაციამ“, ოფიციალური მონაცემებით, 334 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა,... მათ შორის, ასევე, ოფიციალური მონაცემებით, 186 ბავშვის... 700-ზე მეტი ადამიანი მძიმედ დაიჭრა...

ასე რომ, გავა დრო და, ბესლანისა არ იყოს, ისტორიამ მოსკოვის მარტის ტერაქტიც, შესაძლოა, პუტინის მორიგ სისხლიან გაკვეთილად მონათლოს...

* * *

26 მარტს, ცნობილი გახდა, რომ მოსკოვის ტერაქტის დროს დაღუპულთა რიცხვი 139-მდე გაიზარდა, მათგან 75 იდენტიფიცირებულია. დაღუპულთა შორის სამი ბავშვია. დაშავებულთა რაოდენობა კი 182-ია...

შსს-ს 2023 წლის ანგარიში

ვახტანგ გომელაურმა პარლამენტში, „მინისტრის საათის“ ფორმატში, სამინისტროს ანგარიში წარადგინა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა საკანონმდებლო ორგანოში, „მინისტრის საათის“ ფორმატში, სამინისტროს მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში წარადგინა. სიტყვით გამოსვლისას, ვახტანგ გომელაურმა სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ყურადღება გაამახვილა შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებზე, კრიმინალთან ბრძოლის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებზე, საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობასა და სამინისტროს თანამშრომლების სოციალური გარანტიების გაუმჯობესებაზე.

ვახტანგ გომელაურის თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცხადებული და დაგეგმილი პროექტების წარმატებით შესრულებამ, გაწერილი სამთავრობო გეგმებისა და სხვადასხვა რეფორმების განხორციელებამ, საერთაშორისო ასპარეზზე უსაფრთხო ქვეყნის სტატუსი განაპირობა.

მინისტრის განმარტებით, გატარებული რეფორმებისა და კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობაზე სტატისტიკური მონაცემები და საერთაშორისო კვლევები მეტყველებენ.

„2023 წელს, დანაშაულის გახსნის მაჩვენებლის მატების ტენდენცია გაგრძელდა. რეგისტრირებული დანაშაულის გახსნა 64%-ს აღემატება. ასევე, გრძელდება დანაშაულის კლების ტენდენციაც. შემცირებულია ისეთი მნიშვნელოვანი დანაშაულების ფაქტები, როგორებიცაა მკვლელობები და მკვლელობის მცდელობები, ასევე, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებები. გასული წლების შედეგები დადებითად აისახა საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციის – „კანონი და წესრიგი“ ყოველწლიურ გლობალურ ინდექსში“, – აღნიშნა ვახტანგ გომელაურმა.

მინიჭებული ინდექსის მიხედვით, საქართველო უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა: იტალია, საფრანგეთი, ავსტრალია, უნგრეთი, ბელგია, კანადა, იაპონია, ხორვატია და სხვა. ამავე კვლევის თანახმად, საქართველო ადგილს ისეთი ქვეყნების გვერდით იკავებს, როგორებიცაა ავსტრია, ნიდერლანდები და ჰონგ-კონგი. ინდექსი ეფუძნება სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებულ გამოკითხვას, რომლის საშუალებითაც შეფასებულია ადამიანების პირადი უსაფრთხოება, დაცულობის შეგრძნება და მათი ნდობის ხარისხი სამართალდამცავი ორგანოების მიმართ. კვლევის მიხედვით, 2022 წლის ანგარიშთან შედარებით, 2023 წელს, საქართველოს ინდექსი გაუმჯობესებულია.

სიტყვით გამოსვლისას, ვახტანგ გომელაურმა ყურადღება გაამახვილა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ კრიმინალური პოლიციის მიმართულებით განხორციელებულ რეფორმებზე, ასევე, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებზე.

„2023 წელი მნიშვნელოვანი იყო კრიმინალური პოლიციის რეფორმის მიმართულებითაც. ოპერატიული, საგამოძიებო და საუბნო მიმართულებები სრულად გაიმიჯნა საქართველოს ყველა ტერიტორიულ ორგანოში. რეფორმის ფარგლებში, გამომძიებლის ფუნქცია-მოვალეობებად განისაზღვრა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება და მას სრულად ჩამოშორდა სხვა საპოლიციო ვალდებულებები, რაც აისახება გამომძიებელთა საქმიანობის ეფექტიანობაზე.

ამავე რეფორმის ფარგლებში, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტი დამოუკიდებელ ერთეულად გამოეყო. რაჭის პოლიციის დეპარტამენტი 2007 წელს გაუქმდა და მას შემდეგ, ცალკე დანაყოფად აღარ ფუნქციონირებდა.

კრიმინალური პოლიციის რეფორმის ფარგლებში, გაგრძელდა მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის განვითარება, რომლის უმთავრესი ამოცანაა დანაშაულის პრევენცია, როგორც საპოლიციო საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა, ასევე, საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება. 2023 წელს, აღნიშნული ინსტიტუტი რუსთავსა და ბათუმში ამოქმედდა და შინაგან საქმეთა სამინისტროს რიგებს ათეულობით ახალგაზრდა შეუერთდა, რომლებიც მართლწესრიგის ოფიცრის რანგში, მოქალაქეების უსაფრთხოებას იცავენ“, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

მისივე თქმით, თანამშრომელთა გადამზადება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მიმართულებით, გასულ წელსაც გაგრძელდა.

* * *

კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც ქართველი სამართალდამცავების წარმატებით მუშაობას ასახავს, არის ტრეფიკინგის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების ანგარიში, რომლის თანახმად, ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ღონისძიებების მიხედვით, 2023 წელსაც, მსოფლიოს მასშტაბით, საქართველო უმაღლეს საფეხურზე – პირველ კალათაში იკავებს ადგილს. 2023 წელს, თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და საგამოძიებო უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად სხვადასხვა ტიპის სწავლებები ჩატარდა.

„საანგარიშო პერიოდში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველო შეიქმნა, რაც ხელს შეუწყობს ნარკოტიკული და ორგანიზებული დანაშაულის პრევენციას, ოპერატიულად გამოვლენას და აღკვეთას.

„ქურდული სამყაროს“ წევრობის, მხარდაჭერისა და „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვის ბრალდებით, სისხლისამართლებრივი დევნა დაიწყო 71 პირის მიმართ, სისხლის სამართლის 4 დანაშაულზე პასუხისგებაში მიცემულია 3 „კანონიერი ქურდი“, ტრეფიკინგის დანაშაულის ჩადენისთვის ბრალი წარედგინა 15 პირს, 200 პირზე კიბერდანაშაულისთვის სისხლისამართლებრივი დევნა დაიწყო, 284 პირი ნარკოტიკული საშუალების გასაღებისთვის პასუხისგებაში მიცემულია“, – აღნიშნა ვახტანგ გომელაურმა.

2023 წელს, მნიშვნელოვნად გაფართოვდა საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობა. კერძოდ, ირლანდიის რესპუბლიკასა და ისრაელის სახელმწიფოში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან წარიგზავნენ პოლიციის ატაშეები. დამატებით გადაიფარა 12 ქვეყანა. დღევანდელი მდგომარეობით, წარგზავნილია პოლიციის 18 ატაშე, საიდანაც 36 სახელმწიფო იფარება. გარდა ამისა, მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები რამდენიმე ქვეყანასთან, ატაშეების ქსელის გაფართოებასთან დაკავშირებით.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

უყაირათოდ გაფლანგული საბიუჯეტო სახსრები დევნილთა საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფაში!

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური დევნილთა საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფით დაიტერესდა. როგორც მოსალოდნელი იყო, დარღვევები გამოვლინდა, როგორც დევნილებისთვის ბინების შესყიდვაში, ასევე – მათთვის ბინების განაწილებაში. შესაბამისობის აუდიტის ანგარიში, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, მოიცავს 2020 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 იანვრამდე პერიოდს.

დარღვევები ბინების კონკურსის წესით შესყიდვაში

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ დევნილთა საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის მიზნით, 2019 წლის 5 თებერვალს, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება მენაშენეებისგან საცხოვრებელი ფართების შესყიდვის თაობაზე და გამოაცხადა კონკურსი. კონკურსის პირობები ფართების შესყიდვას ითვალისწინებდა თბილისსა და გორში.

„შესასყიდი საცხოვრებელი ფართის ერთეულის (მ2) მაქსიმალური ფასები განისაზღვრა: თბილისში – 520 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, ხოლო გორში – 430 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში. საკონკურსო პირობებით გათვალისწინებული იყო წინასწარი ანგარიშსწორება; ხელშეკრულების გაფორმება შესაძლებელი იყო რამდენიმე მენაშენესთან, სააგენტოსთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, რაც იმ დროისთვის გათვალისწინებული იყო 51 500.0 ათასი ლარის ოდენობით. საცხოვრებელი ფართების ჩაბარების ვადად განისაზღვრა 2020 წლის 30 ივნისი. კონკურსში მონაწილეობა მიიღო შვიდმა მენაშენემ (მათ შორის, ოთხმა – თბილისის ბინებზე). თბილისში გამარჯვებულად გამოცხადდნენ შპს „ას ჯორჯია“ (1მ2 – 1 394 ლარი) და შპს „დავიდე“ (1მ2 – 1398.38 ლარი), ხოლო გორში – შპს „ვარსკვლავი“ (1მ 2 – 1 153 ლარი)“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ კონკურსში გამარჯვების საფუძველზე, შპს „დავიდესთან“ თავდაპირველი ხელშეკრულება გააფორმა სამინისტროს კონტროლქვეშ მყოფმა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტომ“, ღირებულებით – 20 193.4 ათასი ლარი (1 მ2-ის ღირებულება – 1 398.38 ლარი). შესასყიდი იყო სულ 260 ბინა (4 კორპუსი), ჯამური ფართით – 14 440 მ2, მათ შორის, 12 – ერთოთახიანი, 248 – ოროთახიანი. კომისიის გადაწყვეტილებით, წინასწარი ანგარიშსწორების ლიმიტი განისაზღვრა ხელშეკრულების ღირებულების 25%-ის ოდენობით შემდგომ, 2019 წლის 13 დეკემბერს ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებით, ხოლო ხელშეკრულების შემსყიდველი მხარის სამართალმემკვიდრედ განისაზღვრა სააგენტო.

„ამ ხელშეკრულების ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში ფიქსირდება გარკვეული ნაკლოვანებები და შეუსაბამობები. კერძოდ, სააგენტო, მშენებლობის პროცესზე პერიოდულად მიმდინარე მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, ლიმიტის გაზრდის მიზნით, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ წინასწარ ანგარიშსწორებას აკორექტირებდა. საბოლოოდ, შპს „დავიდეს“ მიმართვის საფუძველზე, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ლიმიტის 100%-მდე გაზრდაზე. აღნიშნული გადაწყვეტილების შედეგად, სრულად იქნა გადახდილი სახელშეკრულებო ღირებულება – 20 193.4 ათასი ლარის ოდენობით. მონიტორინგის შედეგებზე წარმოდგენილ მოხსენებით ბარათებში ასახული გარემოებები, რომლებიც განაპირობებდნენ საავანსო გადახდების ზრდის გადაწყვეტილებებს, არ არის საკმარისად დასაბუთებული, ვინაიდან მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ღირებულება სრულად ანაზღაურდა 2020 წლის 1 სექტემბერს, მენაშენის მიერ საცხოვრებელი ფართების მიწოდების პირველი ფაქტი დაფიქსირდა 2022 წლის 6 მაისს, (130 ბინა)“.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ პანდემიისა და სავალუტო კურსის ცვლილების გამო, შპს „დავიდე“ ხელშეკრულების ღირებულების 10%-ით გაზრდას ითხოვდა. ამ მოთხოვნას საფუძვლად დაედო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 16 სექტემბრის დასკვნა, რითაც დადასტურდა შპს „დავიდეს“ მიერ საოპერაციო ხარჯის ცხრა კომპონენტის მიხედვით 2 606.9 ათასი ლარით გაძვირება. მასალები პოზიციის დასაფიქსირებლად გადაეგზავნა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს. საკითხის შესწავლის საფუძველზე, ამ უკანასკნელმა დაასკვნა, რომ „მიმწოდებლის მიერ სააგენტოს მიმართ წაყენებულ მოთხოვნას – დამატებითი თანხის გამოყოფის შესახებ, არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი“.

„რამდენიმე თვის შემდეგ, საფუძვლებისა და მტკიცებულებების უცვლელობის პირობებში, შიდა აუდიტის დეპარატამენტმა არ გამოხატა საწინააღმდეგო პოზიცია ხელშეკრულების ღირებულების 302.9 ათასი ლარით გაზრდაზე. ეს გადაწყვეტილება სააგენტოს მხრიდან ეფუძნებოდა იმ მოსაზრებას, რომ კონკრეტულ სახელშეკრულებო ღირებულებასთან, შპს „დავიდეს“ მიერ დამატებით გასაწევი ხარჯებიდან, დაკავშირებული იყო მხოლოდ ოთხი კომპონენტი. ხარჯების ამ კატეგორიას წარმოადგენდა ბუნებრივი გაზის მიერთების საფასური – 104.0 ათასი ლარი, მენეჯმენტისა და ადმინისტრაციის ხელფასის დამატებითი ხარჯი – 166.4 ათასი ლარი, საკურსო ზარალი ლიფტის ღირებულების – 22.1 ათასი ლარი და ლიფტის მონტაჟის ღირებულებიდან – 10.4 ათასი ლარი, სულ – 302.9 ათასი ლარი“.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ თბილისში, დევნილთა საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის მიზნით საცხოვრებელი ფართების შესყიდვისას, მენაშენის მოთხოვნით, სამშენებლო რესურსებზე ფასების ზრდის საფუძვლით, გაიზარდა სახელშეკრულებო ღირებულება. ფასების ზრდის პერიოდისთვის, სააგენტომ 100%-ით გადაიხადა ავანსი, რომელიც სრულად ფარავდა მშენებლობის თვითღირებულებას. ამასთან, არ მომხდარა გარემოებათა სხვა არსებითი ცვლილება, რომელიც შესაძლებელი იყო ხელშეკრულების ღირებულების გაზრდაზე შეთანხმების საფუძველი გამხდარიყო. შედეგად, დაუსაბუთებლად გაიზარდა სახელშეკრულებო ღირებულება, რამაც გამოიწვია 302.9 ათასი ლარის საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური ხარჯვა.

დარღვევები ბინების განაწილებაში

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი განსახლების საჭიროების სრულყოფილი შესწავლისა და ასევე დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის მიერ, კრიტერიუმის გამოყენების გარეშე მიღებული არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებების შედეგად, საცხოვრებლით დაკმაყოფილება წარმოებდა შეფასების ჯამური ქულის გაუთვალისწინებლად!

„დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის მიერ, საცხოვრებელი ბინების განაწილების პროცესში, დაბალი ქულის მქონე დევნილი ოჯახების მიმართ, წარმოებდა ე.წ. ადმინისტრაციული დაპირების მექანიზმის გამოყენება, რამაც ადეკვატური კონტროლის არარსებობის პირობებში წარმოშვა დევნილ ოჯახებს შორის საცხოვრებელი ბინების არასამართლიანი განაწილების რისკი.

დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის გადაწყვეტილებების შედეგად, საცხოვრებლით დაკმაყოფილებულები არიან ოჯახები, რომლებიც საკითხის განხილვის მომენტისთვის არ საჭიროებდნენ გრძელვადიან განსახლებას. კერძოდ, რიგი დევნილი ოჯახებისა, ბინების განაწილების წინა პერიოდებში, მესამე პირებთან დებდნენ გარიგებებს, საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინების ჩუქების, თუ ნასყიდობის ფორმით, რამაც შექმნა საცხოვრებლით დასაკმაყოფილებელი სტატუსის კრიტერიუმის შეუსაბამოდ მიღების წინაპირობა“.

თამბაქოს აქციზის გადასახადი მცირდება?

მაკა რუხაძე

კორუფციული გარიგების ნიშნები კანონპროექტში – რას წარმოადგენს ლიბანური ინვესტიციით დაფუძნებული კომპანია „ეიჩ ჰუკა“ და რატომ არღვევს სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ „თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციას“

საქართველოს პარლამენტის წევრების – დავით სონღულაშვილის, ბეჟან წაქაძის, გოჩა ენუქიძისა და ელგუჯა გოცირიძის საკანონმდებლო ინიციატივით, შესაძლოა, თამბაქოს აქციზის გადასახადი შემცირდეს. ამასთან დაკავშირებით, გაერო-ს საქართველოში წარმომადგენლობა შეშფოთებას გამოთქვამს. „თამბაქოს კონტროლის ალიანსის“ ხელმძღვანელი, გიორგი ბახტურიძე „ვერსიასთან“ ინტერვიუში გაერო-ს პოზიციას სრულად ეთანხმება და იმედოვნებს, რომ პარლამენტი ამ კანონპროექტს მხარს არ დაუჭერს. მეტიც, მისი თქმით, დღევანდელი დაბეგვრის რეჟიმითაც კი, თუთუნზე გადასახადი სამჯერ ნაკლებია, ვიდრე სიგარეტზე. ცვლილება კანონპროექტში საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომაზე 4 მარტს დაინიცირდა.

რამ აღაშფოთა გაერო

პასუხი მარტივია – საქართველოში გაერო-ს წარმომადგენლობა საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების იმ პროექტმა აღაშფოთა, რომლითაც თამბაქოზე აქციზის გადასახადი უნდა შემცირდეს. გაერო-ში აცხადებენ, რომ ინიცირებული კანონპროექტი თამბაქოს გარკვეული სახის პროდუქტებზე აქციზის გადასახადის შემცირებას ისახავს მიზნად და აღნიშნავენ, რომ თამბაქოს კონტროლის სფეროში ეს ცვლილება უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება.

მეტიც, გაერო-ს საქართველოში წარმომადგენლობას მიაჩნია, რომ ცვლილება ზიანს მიაყენებს, როგორც საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობას, ასევე, ქვეყნის ეკონომიკას. რაც მთავარია, ეს ცვლილება მხოლოდ თამბაქოს ინდუსტრიის ბიზნეს-ინტერესებს ემსახურება.

გაერო-ს განცხადებაში ვკითხულობთ, რომ 2017-19 წლებში, თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმის მიუხედავად, საქართველოში თამბაქოს მოხმარების მაჩვენებელი ჯერ კიდევ ძალიან მაღალია, ამ მდგომარეობის გამოსწორება, მათი შეფასებით, თამბაქოს კონტროლის ყოვლისმომცველი და ეფექტური პოლიტიკის გრძელვადიან განხორციელებას მოითხოვს.

> **გაერო მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს, საგადასახადო კოდექსში ინიცირებული ცვლილება არ დაამტკიცოს და, შემცირების ნაცვლად, გადასახადები თანაბრად გაზარდოს თამბაქოს ყველა ნაწარმზე!**

კანონპროექტის თანახმად, აქციზის განაკვეთი 60 ლარიდან 30 ლარამდე უნდა შემცირდეს თამბაქოს ნედლეულის, თამბაქოს ნარჩენების, ჩილიმით მოსაწევი თამბაქოს, „ჰომოგენიზებული“ ან „აღდგენილი“ თამბაქოს, საღეჭი ან საყნოსი (ბურნუთი) თამბაქოს და საგადასახადო კოდექსის 2403 19 („დანარჩენი“) კოდით აღნიშნული თამბაქოს ნაწარმის სახეობაზე.

საკანონმდებლო ინიციატორების აზრით, კანონპროექტის მიზანია, ადგილობრივი წარმოების დაცვა, არალეგალური სიგარეტის იმპორტის შემცირება, სექტორში კონკურენტუნარიანობის ზრდა და ადგილობრივი გადამამუშავებელი ინდუსტრიის განვითარების სტიმულირება.

მართალია, ამ ცვლილებებით, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი წლიურად, დაახლოებით 24 965 047.2 ლარით შემცირდება, თუმცა დეპუტატების აზრით, აქციზის განაკვეთის შემცირებით გამოწვეული საბიუჯეტო შემოსავლების დანაკარგი, ბაზარზე არალეგალური სიგარეტის ლეგალურით ჩანაცვლებისა და ამის შედეგად გაზრდილი საბიუჯეტო შემოსავლების ფონზე დაკომპენსირდება.

დამტკიცების შემთხვევაში, კანონპროექტი 2025 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება. ეს იმიტომ, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, საგადასახდო წელი 1 იანვრიდან იწყება.

„თამბაქოს კონტროლის ალიანსი“ კანონპროექტის წინააღმდეგ

კანონში შესატან ცვლილებასთან დაკავშირებით, „ვერსია“ „თამბაქოს კონტროლის ალიანსის“ ხელმძღვანელს, **გიორგი ბახტურიძეს** ესაუბრა.

– ბატონო გიორგი, რამდენად სწორი გადაწყვეტილებაა თამბაქოს პროდუქციაზე აქციზის გადასახადის შემცირება?

– დიდი მადლობა კითხვისთვის. ჯერ ეს საკანონმდებლო წინადადებაა მხოლოდ და იმედი გვაქვს, პარლამენტი არ დაუჭერს კონკრეტული ბიზნეს-სუბიექტების ფინანსური ინტერესების გამტარებელ კანონპროექტს მხარს. აქციზი თამბაქოს ნაწარმზე 2019 წლის ნოემბრიდან არ შეცვლილა. თამბაქოს კომპანიები კი ყოველკვარტალურად ახდენენ ფასების ჭარბ მატებას პროდუქტებზე და იზრდიან მოგების მარჟას. ვინც ზარალდება ამ პროცესისაგან, არის სახელმწიფო და მწეველთა ოჯახები. ერთადერთი „სარგებელი“, რაც ამ პროდუქტისაგან საზოგადოებამ უნდა მიიღოს, არის მაღალი გადასახადებით მაქსიმალური შემოსავლების მიღება სახელმწიფო ბიუჯეტში. ბიუჯეტი კი მაქსიმალურად უნდა უწყობდეს ხელს პრევენციულ ზომებს და მოწევის შეწყვეტის სერვისების განვითარებას ქვეყანაში, რაც, სამწუხაროდ, ძალიან დაბალ დონეზეა.

> **ამ ცვლილების რეალურად განხორციელება ქვეყანას დააბრუნებს იმ სიტუაციაში, რაც გვქონდა 2019 წელს, როცა თუთუნზე დაბალი გადასახადის გამო, მისი მოხმარება ათჯერ გაიზარდა! დღევანდელი დაბეგვრის რეჟიმითაც კი, თუთუნზე გადასახადი სამჯერ ნაკლებია ვიდრე სიგარეტზე.**

თამბაქოს ნედლეულის გაიაფება ორიენტირებულია მთავარი ადგილობრივი ბიზნეს-სუბიექტის „თბილისის თამბაქოს“ მოგების გაზრდაზე, რომელიც მხოლოდ იმპორტირებულ ნედლეულზე მუშაობს. ამ ცვლილებას არანაირი კავშირი არ აქვს თუთუნის მომყვან ფერმერებთან, რომლებიც ისედაც გათავისუფლებულები არიან გადასახადებისაგან. შესაბამისად, სიცრუეა ის მოტივი, რასაც ამ ცვლილებების ინიციატორები საზოგადებას ეუბნებიან. ეს ნაწილი უფრო გათვლილია წინასაარჩევნო პიარზე.

დასასრული მე-8 გვერდზე

გიორგი ბახტურიძე: „ამ ცვლილების რეალურად განხორციელება ქვეყანას დააბრუნებს იმ სიტუაციაში, რაც გვქონდა 2019 წელს, როცა თუთუნზე დაბალი გადასახადის გამო, მისი მოხმარება ათჯერ გაიზარდა!“

თამბაქოს აქციზის გადასახადი მცირდება?

მე-7 გვერდიდან

ამასთან, არა მხოლოდ თუთუნზე, არამედ, საჩილიმე თუთუნზეც ხდება გადასახადის კლების ინიცირება, რაც პირდაპირ დაკავშირებულია ლიბანური ინვესტიციით დაფუძნებულ კომპანიაზე – შპს „ეიჩ ჰუკაზე“, რომელმაც სულ რამდენიმე თვის წინ დაიწყო ჩილიმის არომატების დამზადება ქობულეთში და რომელსაც ინტენსიურად აფინანსებს სააგენტო – „აწარმოე საქართველოში“, რაც ასევე ეწინააღმდეგება „თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციით“ ნაკისრ ვალდებულებებს.

მესამე ფაქტორი არის ის, რომ „ფილიპ მორისის“ მიერ შეძენილი შვედური „სნუსის“ მწარმოებელი კომპანიის ნაწარმი ინტენსიურად შემოდის რეგიონში, ჩვენთანაც და მასზე, როგორც საღეჭ თამბაქოზე გადასახადის დაკლება მნიშვნელოვნად გაზრდის მის პოპულარობასა და მოხმარებას ბავშვებსა და ახალგაზრდებში, როგორც ეს იმ ქვეყნებში მოხდა, სადაც უკვე ფართოდაა გავრცელებული.

აღნიშნული ინიციატივა აშკარად შეიცავს კონკრეტულ კომპანიებთან კორუფციული გარიგების ნიშნებსა და მათთან კონკრეტული პოლიტიკოსების ფინანსურ დაინტერესებას!

– იზიარებთ თუ არა გაერო-ს შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით, რომ ეს გადაწყვეტილება დააზიანებს არა მარტო მოსახლეობის ჯანმრთელობას, არამედ, ქვეყნის ეკონომიკასაც?

– სავსებით ვიზიარებთ, რადგან ეს დაგვაბრუნებს თუთუნიზაციის ეპოქასთან. ამით მოსახლეობის ჯანმრთელობაც დამძიმდება და საბიუჯეტო შემოსავლების დიდ ნაწილს დაკარგავს სახელმწიფო, მაგრამ მოგებულები დარჩებიან ის ჩინოვნიკები, რომლებიც ამ საკითხს ლობირებენ ხელისუფლებაში და ის ზემოაღნიშნული კონკრეტული კომპანიები, რომელთა დაკვეთითაც აპირებენ ამ ცვლილებების გატარებას.

– გაერო-ში იმასაც აცხადებენ, რომ ინიცირებული კანონპროექტი თამბაქოს კონტროლის სფეროში უკან გადადგმული ნაბიჯია და რეალურად, მხოლოდ თამბაქოს ინდუსტრიის ბიზნეს-ინტერესებს ემსახურება, ეთანხმებით?

– აბსოლუტურად ვეთანხმები და ეს პროცესი გაზრდის ამ ლეტალური პროდუქტის მოხმარებას, როგორც ზოგადად მოსახლეობაში, ასევე, არამწეველ ბავშვებსა და ახალგაზრდებში, რომლებიც ამ ნარკოტიკზე დამოკიდებულები გახდებიან. რაც შეეხება კონკრეტულ ბიზნეს-ინტერესებს, ესეც ნათელია და ამის მაგალითები ზემოთ მოვიყვანეთ ანუ სახეზე გვაქვს კორუფციული გარიგების კლასიკური სქემა, რომლის მიღება დაადასტურებს ჩვენს საფუძვლიან ეჭვებს.

– კანონპროექტის ინიციატორების მოსაზრებით, ამ ცვლილებების მიზანია ადგილობრივი წარმოების დაცვა, ლეგალური სიგარეტის იმპორტის შემცირება, სექტორში კონკურენტუნარიანობის ზრდა და ადგილობრივი გადამამუშავებელი ინდუსტრიის განვითარების საშუალება. ასეა?

– ერთადერთი ადგილობრივი მსხვილი საწარმო არსებობს მხოლოდ საქართველოში, რომელიც მხოლოდ იმპორტულ ნედლეულზე მუშაობს, მას გაეზრდება მოგება და ამიტომაა, რომ ლობირებენ კონკრეტული ჩინოვნიკები. მეორე ადგილობრივი საწარმო ჩილიმის არომატებზე მუშაობს, როგორც მოგახსენეთ და იქაც კონკრეტული მაღალჩინოსნების ფინანსური ინტერესია, რომ მოგება გაეზარდოთ მათი ოჯახის წევრებს, ხოლო დაზარალდეს სახელმწიფო ბიუჯეტი, რაც თანამდებობრივი დანაშაულია. ნორმალურ ქვეყანაში სამართალდამცავი ორგანოები გამოიკვლევდნენ ამ საკითხს და კორუფციაში მონაწილე ჩინოვნიკებს აგებინებდნენ პასუხს.

თუმცა წინა ჯერზეც, როცა დავით სონღულაშვილი, ისკო დასენი და სხვა ოდიოზური ფიგურები გაურიგდნენ „ფილიპ მორისს“ და მისი კონკრეტული ბრენდი ამოიღეს სადა შეფუთვის რეგულაციიდან, მივმართეთ შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს და რეაგირება არ მოჰყოლია. ვფიქრობთ, ახლა საფუძვლიანად შეისწავლიან კორუფციის აშკარა ნიშნების შემცველ ამ ფაქტს და დაიწყებენ შესაბამის გამოძიებას.

გარდა ამისა, კანონპროექტის განმარტებით ბარათში კვლავ უამრავი ტყუილი ფიქსირდება, როგორც სადა შეფუთვის გადავადების კანონპროექტების შემთხვევაში. კერძოდ, ურცხვად არის გაცხადებული, რომ წარმოდგენილი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის კანონმდებლობას და ევროასოცირებით ნაკისრ ვალდებულებებს. აღნიშნული კანონპროექტი ეწინააღმდეგება 2011/64EU და 2014/40EU ევროდირექტივებს, ევროასოცირების შეთანხმების 283-ე, 356-ე, მუხლებსა და შესაბამისი დანართების მოთხოვნებს.

ასევე, კანონპროექტი პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის „თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციის“ მე-6 მუხლის მოთხოვნებთან და მისი აღსრულების გაიდლაინთან.

კანონპროექტი ზეგავლენას ახდენს ,ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, რადგან გადასახადების შემცირება ხელმისაწვდომს გახდის ამ ლეტალურ პროდუქტს ისეთი მოწყვლადი ჯგუფებისათვის როგორებიც არიან ბავშვები და მოზარდები.

კანონპროექტი წინააღმდეგობაშია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „თამბაქოს კონტროლის 2021-2025 წლების სტრატეგიასთან“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენმა ორგანზიაციამ მოამზადა ალტერნატული კანონპროექტი, რომელიც 18 მარტს, პარლამენტს გადაეგზავნა. ამ კანონპროექტის მიხედვით, ყველა ტიპის თამბაქოს ნაწარმსა და ნედლეულზე გათანაბრდება გადასახადები, რაც შეამცირებს თამბაქოს ერთი ლეტალური პროდუქტიდან მეორე ლეტალურ პროდუქტზე გადასვლის ალბათობას, ასევე, შეამცირებს მოხმარებას და დამატებით, მინიმუმ, 400 მილიონი ლარის შემოსავალს მისცემს ქვეყნის ბიუჯეტს.

იმედი გვაქვს, წინასაარჩევნოდ მაინც გააკეთებს ხელისუფლება ჯანსაღ არჩევანს და უარს იტყვის კონკრეტული ბიზნესის ფინანსური ინტერესის დაკმაყოფილებაზე, მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ჯანმრთელობის ინტერესების სანაცვლოდ.

სამართალი

№6 27 მარტი 2024 წ

„შენ და შენმა კახპა დედამ დაღუპეთ ჩემი ბავშვობა“

რატომ იმეტებდა ახალგაზრდა მამაკაცი ნახევარდას სასიკვდილოდ – ოჯახური ტრაგედიის დეტალები

ბათო ჯაფარიძე

არცთუ დიდი ხნის წინ, შშმ პირების მიმართ, ლამის, მთელს მსოფლიოში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება იყო. მეტიც, შშმ პირებს ოჯახის წევრები თითქოს საგულდაგულოდ მალავდნენ, არ სურდათ, ვინმეს გაეგო, რომ ახლობელს, ნათესავს, ან ოჯახის წევრს შეზღუდული შესაძლებლობები ჰქონდა. საბედნიეროდ, ეს მიდგომა შეიცვალა და ახლა შენობებსაც კი ისე აშენებენ, რომ შშმ პირებზე იყოს მორგებული და ადაპტირებული. ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, სწორედ მაშინ მოხდა, როცა შშმ პირებს დიდად არ სწყალობდნენ.

პროკურატურაში ხანში შესული ქალი მივიდა და განაცხადა, რომ მისი დისშვილი გარდაიცვალა. სამართალდამცავებმა შემთხვევის ადგილი დაათვალიერეს, ბიჭი სადარბაზოში იყო მკვდარი და მთავარი ვერსია ის გახლდათ, რომ კიბეზე დაგდებულ მწიფე ხურმაზე ფეხი აუცურდა, თავი ვერ შეიმაგრა და დაცემისას ფუძის ძვალი მოტყდა, რამაც სიკვდილი გამოიწვია.

„ისტორია ძალიან საინტერესოა. ჩემი და, მეუღლესთან ერთად, ავტოავარიის დროს დაიღუპა. ჩემი დისშვილი 13 წლის იყო და მართალია, სტრესი ჰქონდა, მაგრამ შემდეგ მითხრა, რაც მოხდა. მამა გამოუტყდა დედას, რომ სხვა ქალი უყვარდა და მისგან ბავშვს ელოდებოდა, რომ მათგან წასვლას აპირებდა და ჩემმა უბედურმა დამ, გამწარებულ გულზე, ქმარს საჭეზე ხელი აუკრა, მანქანა გზიდან გადავიდა და ბოძს დაეჯახა. დისშვილი უკანა სავარძელზე იჯდა და როგორღაც გადარჩა, და და სიძე კი ერთ დღეს დავასაფლავე. მას შემდეგ, ბავშვი ჩემთან იზრდება, მეც მისი ტოლი ბიჭი მყავს და ერთად გავზარდე. საოცრად ნიჭიერია, სკოლა მედალზე დაამთავრა, უმაღლესი – წითელ დიპლომზე. მამის სახლში გადასვლას ფიქრობდა, შუა ქალაქში, ოთხოთახიანი ბინა დარჩა მშობლებისგან. თანაც, ის ბინა მუდმივად გაქირავებული მქონდა, აღებულ თანხას დისშვილს მთლიანად საბანკო ბარათზე ვუგროვებდი და იმდენი მოგროვდა, რომ მანქანის ყიდვა შეიძლებოდა, მაგრამ მითხრა, ბინა სულ გაქირავებული რომ იყო, კარგად უნდა გავარემონტო, მერე გადავალო. რაც შეეხება იმ სადარბაზოს, სადაც გარდაცვლილი იპოვეს, ესეც არანაკლებ საოცარი ისტორიაა. სამიოდე თვის წინ, ჩემი დისშვილი სახლში გახარებული დაბრუნდა, და ვიპოვეო. თურმე, დედ-მამის საუბარი გულში ჩარჩა და მას შემდეგ ეძებდა იმ ქალს, ვისთანაც მამამისს ურთიერთობა ჰქონდა. მონახა მამის ძველი ნაცნობები, მეგობრები, ძმაკაცები და სწორედ ასე, კითხვა-კითხვით მიაგნო იმ ქალს. პრინციპში, რაღა ქალს, ჩემი სიძის საყვარელი გარდაცვლილია, მისი შვილი კი... ანუ ჩემი დისშვილის და ეტლით მოსარგებლე გახლავთ. ალბათ, ბედის ირონიაა, გოგონა 12 წლის ყოფილა, როცა მანქანა დაეჯახა და ეტლში ჩაჯდა. ბოლომდე რომ დარწმუნებულიყო, ჩემმა დისშვილმა დნმ-ის ანალიზიც კი გააკეთა და დაუდასტურეს, რომ ის გოგო მისი დაა. დედის გარეშე ცხოვრება ძნელია, გოგონა სადღაც ნაქირავებ სოროში ცხოვრობდა, ნათესავები უხდიდნენ სამადლოდ ფულს. ჩემმა დისშვილმა კარგ კორპუსში უქირავა ბინა, დამხმარეც აუყვანა და დაპირდა, როცა ბინას გავარემონტები, იქაც გადაგიყვანო. ახლაც, იმ სადარბაზოში, სწორედ დის გასასეირნებლად იყო მისული, დამხმარეს ერთი დღით ასვენებდა და მთელ დროს დასთან თავად ატარებდა. იცით, გოგონაც ამბობს, რომ მას ფეხი სწორედ მწიფე ხურმაზე აუცურდა, როცა ის გამოჰყავდა და მეზობლებიც გოგონამ შეჰყარა, მაგრამ... ხომ არის რაღაც წინათგრძნობა, რომ რაღაც ბოლომდე არ გჯერა... აი, ასე არ მჯერა, რომ ჩემი დისშვილი ასე უბრალოდ, ასე მარტივად მოკვდა“, – საკმაოდ ვრცელი მონოლოგი ქალმა ცრემლის წმენდით დაასრულა.

გამომძიებელს, რომელსაც საქმე ებარა, პრაქტიკულად, ყველაფერი აკმაყოფილებდა – თანახმა იყო უბედურ შემთხვევაზე, თანახმა იყო იმაზე, რომ გოგონასთვისაც დაეჯერებინა და ერთადერთი, რაც არ მოსწონდა, ბიჭის ტანისამოსის, უფრო სწორედ, ჯიბეების მდგომარეობა იყო. შარვლის ორივე და პიჯაკის შიდა ჯიბე ამოტრიალებული გახლდათ, რაც გვამს დაცემის დროს ვერ დაემართებოდა ანუ ვიღაცამ მას ჯიბეები სიკვდილამდე, ან გარდაცვალების შემდეგ ამოუტრიალა, მაგრამ ვინ? გოგონა ამბობდა, კიბის თავიდან ვუყურებდი, როგორ ჩაგორდა და მოკვდაო, მეზობლები ადასტურებენ, რომ გოგონას ყვირილზე გამოცვივდნენ და ერთ-ერთი მეზობელი ექთანი გახლდათ, სწორედ მან შეუმოწმა პირველად პულსი და თქვა, რომ ბიჭი გარდაცვლილი იყო. კიდევ ერთმა მეზობელმა, ყოფილმა სამხედრომ ამოტრიალებული ჯიბეები მაშინვე შენიშნა და იყვირა, მგონი, აქ ძარცვაა, გვამს მოშორდითო, მაგრამ არც მეზობლებს, არც თავად გოგონას, თითქოს, არავინ დაუნახავთ. ისე, ბიჭი საკმაოდ კარგ ადგილზე მუშაობდა და როგორც ამბობდნენ, ფულის პრობლემაც არ ჰქონდა. მეტიც, გამოძიებით ისიც გაირკვა, რომ იმ დღეს ფული ხელოსნებისთვის უნდა მიეცა და თანხა საკმაოდ მსუყე იყო, მაგრამ... თანხა სამართალდამცავებმა ვერ იპოვეს.

პროკურატურისა და შს სამინისტროს თანამშრომლებმა ერთობლივი მუშაობა დაიწყეს. პირველ რიგში, გოგონა იყო დასაკითხი, რომელიც ძალიან, ძალიან შეშინებული ჩანდა და როცა მისი დაკითხვა დასრულდა, ორივე უწყების თანამშრომელმა დაასკვნა – გვატყუებს. აი, რას იტყუებოდა გოგონა, ვერავინ ხვდებოდა და... ის, ყოველი შემთხვევისთვის, კიდევ ერთხელ შეამოწმეს, შეეძლო თუ არა სიარული, მაგრამ ექიმების დასკვნა კატეგორიული გახლდათ – არა და ვერც ვერასდროს შეძლებს გავლასო. გამოდიოდა, რომ გოგონა სხვა რამეს მალავდა, მაგრამ რას?

ამასობაში, გამომძიებლამდე, აგენტურის მიერ შესული ოპერატიული ინფორმაცია მიიტანეს – გარდაცვლილი ბიჭის დეიდაშვილი, თურმე, სერიოზული მოთამაშე ყოფილა, თან არცთუ ურიგო მოთამაშე, მაგრამ ცოტა ხნის წინ, საკმაოდ დიდი თანხა წააგო და... მომხდარის შემდეგ ვალი გადაიხადა. სამართალდამცავები პროკურატურაში ვოკაციაზე წავიდნენ, ბიჭი დააკავეს, განყოფილებაში წაიყვანეს, იქ ერთ-ერთ ოპერს პროკურორის ფორმა შემოაცვეს და მან „ოფიციალურად წარუდგინა ბრალი“ დეიდაშვილის მკვლელობაში.

„არა, ასე არ იყო, გეფიცებით, მე არ მომიკლავს. კი, ფული მე ავიღე, მაგრამ ჰკითხეთ, მის დას ჰკითხეთ, მან ყველაფერი დაინახა“, – აყვირდა დაკავებული და ერთ საათში ძალოვნებმა გამომძიებლის ოთახში გოგონა ეტლით შემოაგორეს. როცა გოგომ თავისი ძმის დეიდაშვილი დაინახა, მიხვდა, რომ რამეს დამალვას აზრი აღარ ჰქონდა, თავი ჩაღუნა და დაიწყო:

„როცა ჩემმა ძმამ მიპოვა, ჩემზე ბედნიერი მართლა არავინ იყო. მე ხომ არავის ვჭირდებოდი, ის კი მივლიდა, ბინა მიქირავა, მეფერებოდა. მომვლელიც კი მომიყვანა და ამოვისუნთქე, ვიფიქრე, რომ ჩემთვისაც მოიცალა ბედის ბორბალმა. იმ დღეს ამასთან ერთად მოვიდა (გოგონამ თავი ბიჭისკენ აიქნია), კიბემდე გამომიყვანა, ეს კიბის უჯრედთან ელოდა და მითხრა, შენ მართლა გგონია, იმისთვის გიპოვე, რომ გადაგარჩინო? არა, მე იმისთვის გიპოვე, რომ მოგკლა, შენ და შენმა კახპა დედამ დაღუპეს ჩემი ბავშვობა, ჩემი მშობლები. ახლა დაგაგორებ, თუ გადარჩები, მეორე კიბეზე დაგაგორებ და თუ კიდევ გადარჩები, უბრალოდ, კისერს მოგტეხ. ჩემი დეიდაშვილი კი დამემოწმება, რომ შენით დაგორდი. ირგვლივ ყველამ იცის, რომ მე თან გყვები და ეჭვს ცუდზე არავინ მიიტანს. გაოცებისგან ენა ჩამივარდა, წინიდან მედგა, ეტლი კიბის თავზე, მოვლა დააპირა და ამ დროს, რაღაცაზე ფეხი აუცურდა, მერე დავინახე, რომ ის რაღაც მწიფე ხურმა იყო. საოცარი მოძრაობა გააკეთა ჰაერში და პირდაპირ თავით დაერჭო დეიდაშვილის ფეხებთან. მან მაშინვე პულსი გაუსინჯა, მიხვდა, რომ მოკვდა და ჯიბეზე ეცა, მერე მე მომაძახა, შენც სუ და მეც სუო და გავარდა. მე ყვირილი დავიწყე, მეზობლები გამოვარდნენ, დანარჩენი კი იცით“, -განაცხადა გოგონამ.

სამართალდამცავებმა ერთმანეთს გადახედეს და... მათ არც ბიჭი დააკავეს, არც გოგო. ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ სახლი, რომელშიც ბიჭი უნდა გადასულიყო, მემკვიდრეობით მამისგან ერგო და ბინა... გოგონას სახელზე გადავიდა. მან ბინა გააქირავა, თავად ერთოთახიანი იქირავა, დამხმარეც აიყვანა და შინიდან, პრაქტიკულად, აღარ გადიოდა. ძალოვნებმა პასუხი არც დეიდაშვილს მოსთხოვეს, რომელმა გარდაცვლილის ფული მიითვისა, ზოგადად, ეს საქმე უბედურ შემთხვევად ოფიციალურად დარეგისტრირდა და არქივში გადაიგზავნა.

როგორ დაგეგმა რძალმა ყოფილი ძალოვანის მკვლელობა

ბრალდებულის სკანდალური აღიარება

ბათო ჯაფარიძე

ალბათ, ძალიან ძნელია გაუგო ადამიანს, რომელიც სხვას მოსაკლავად იმეტებს. ჰო, ძნელია, რადგან ამ დროს ადამიანს ართმევენ ყველაზე ძვირფასს, რაც გააჩნია და შესაძლოა, ვინმემ თქვას, რომ ბევრს სიცოცხლეზე მეტად შვილი უყვარს, თუმცა სიცოცხლე მაინც ის არის, რაც ღმერთმა უბოძა და მისი წართმევა გაუმართლებელია. არსებობს ადამიანთა კატეგორია, რომელიც ჩადენილს მალევე ინანიებს და იგივე დრო, იგივე მომენტი რომ დაბრუნდეს, გამორიცხულია, იგივეს არ იზამს, არ მოკლავს! თუმცა, არსებობს ის კატეგორიაც, რომელიც არაფერს ნანობს და ამბობს, შანსი რომ ჰქონდეს, იგივე ქმედებას მეორედ, მესამედ, მეასედ ჩიდენდა.

ყოფილი სამართალდამცავი დაბადების დღის აღნიშვნას რესტორანში, მეგობრების წრეში აპირებდა. რა თქმა უნდა, ძალიან სურდა, რომ ყველაფერი რიგზე ყოფილიყო, ამიტომ სხვებზე ორი საათით ადრე მივიდა, მომსახურე პერსონალს მითითებებს აძლევდა, არც მათ ასვენებდა და არც თავად ისვენებდა. მერე კი... მერე სავარძელში მოკალათდა, საგანგებოდ ამ დღისთვის მოტანილი საყვარელი კონიაკის ბოთლს თავი მოხსნა, ჭიქაში ჩამოასხა და ნება-ნება მოწრუპა. პირველივე ყლუპის შემდეგ, ხელი ყელზე წაივლო, თუმცა ვერაფრის თქმა მოახერხა, საბედნიეროდ, იქვე მყოფ ოფიციანტს არაფერი გამოჰპარვია, ყვირილი ატეხა, სასწრაფოში დარეკა და შეეცადა, პირველადი დახმარებაც აღმოეჩინა. ბედად, სასწრაფო დახმარების ბრიგადა სწორედ იმ მონაკვეთში მოძრაობდა, ექიმები მალე მივიდნენ და მამაკაცი გადაარჩინეს.

„როგორც გვითხრა, ალერგია აქვს რომზე და სწორედ რომი მოწრუპა. სპაზმი იმდენად ძლიერი იყო, რომ ძლივს გადავარჩინეთ. ვერ ვხვდები, რატომ რისკავენ ასე ადამიანები, როცა თავად ამბობს, ვიცოდი, „რომზე“ რეაქცია რომ მქონდა და ისიც ვიცოდი, რომ შეიძლებოდა, მოვეკალიო. თქვენი ყოფილი კოლეგაა, როგორც ვიცი და თავად დაკითხეთ და დაარიგეთ ჭკუა“, – ექიმი აშკარად გაბრაზებული ჩანდა.

დაზარალებულის კოლეგები პალატაში საყვედურებით შევიდნენ, ყოფილ კოლეგას ყველამ ლამის უთხრა, ეგ რამ გაგაკეთებინა, მით უმეტეს, თუ იცოდი, რომ „რომი“ გწყენდა, რამ დაგალევინაო. მანაც ისმინა, ისმინა და...

„მინდა, ოფიციალურიგანცხადება გავაკეთო. ჩათვალეთ, რომ ეს საჩივარია და როცა შემეძლება, ოფიციალურადაც დავწერ. მე ზუსტად ვიცოდი, რას მიზამდა „რომი“ და ამიტომ, მომსახურე პერსონალს ბარიდანაც კი ავაღებინე ბოთლები, შემთხვევით ვინმეს რომ არ დაელია, მე სუნზეც ალერგია მაქვს. ცოტა გაციებული ვარ, ალბათ ცხვირმა ვერ აღიქვა, თორემ არ დავლევდი, ალერგია დამეწყებოდა. მოკლედ, ჩემი კონიაკის ბოთლში „რომი“ ვიღაცამ სპეციალურად ჩაასხა და ის ვიღაც ჩემს მოკვლას ცდილობდა. მინდა, ის ვიღაც იპოვოთ“, – თქვა ყოფილმა გამომძიებლმა და მისმა კოლეგებმა ერთმანეთს გაოცებულებმა გადახედეს.

რა თქმა უნდა, სისხლის სამართლი საქმე აღიძრა და გამოძიებაც ოფიციალურად დაიწყო. პირველ რიგში, დაზარალებულს ის ჰკითხეს, თუ ვინ იცოდა მისი ალერგიის შესახებ. კოლეგები, რომლებმაც მასთან ერთად 25 წელი გაატარეს, ამბობდნენ, ჩვენ არ ვიცოდით და ამიტომ, წრე ძალიან ვიწრო უნდა იყოსო. დაზარალებულმაც მხრები აიჩეჩა, ჩემმა ცოლმა იცოდა, რომელიც გარდაცვლილია, ჩემმა რძალმა და ბიჭმა იციან და... იცის კიდევ ერთმა კრიმინალმა, რომელიც ჩემი აგენტიც იყო, მერე რაღაც გააფუჭა, ვერ ვუშველე და ციხეში ხანგრძლივი ვადით წავიდა, მეტი არც არავინო. რა თქმა უნდა, ყოფილი აგენტის სახელი და გვარი ყოფილ ძალოვანს კარგად ახსოვდა და სამართალდამცავებმაც ის გადაამოწმეს. გაირკვა, რომ ციხიდან ახალი გათავისუფლებული იყო და... იმავე რესტორანში მტვირთავად მუშაობდა. გამოძიებამ საქმე პრაქტიკულად გახსნილად ჩათვალა და მთავარი ეჭვმიტანილი სამუშაო ადგილზე ზარ-ზეიმით დააკავეს.

„ის ძალიან კარგი გამომძიებელი იყო და ზოგადად, კარგი სამართალდამცავი. მას უდიდეს პატივს ვცემდი და ერთხელ „რომ“ ვაჩუქე. მაშინ მითხრა, ჩემი სიკვდილი გინდა, ალბათ, „რომზე“ ისეთი ალერგია მაქვს, რომ დავლიო, შეიძლება ვერ გადავრჩეო. მერე მოხდა ის, რაც მოხდა. კონკრეტულ პირზე მითხრა, მაგას შეეშვი, შარში გაგხვევსო, არ დავუჯერე და ციხე ვხეხე. იმისი რა ბრალია, მე დავაშავე, იმან გამაფრთხილა და არ დავუჯერე. იმ დღეს დავინახე, რომ რესტორანში იყო, მისვლა ვერ გავბედე, მომერიდა. რა თქმა უნდა, „რომი“ არ გამირევია მის ბოთლში, არ ვიკადრებდი და არ ვაკადრებდი. ისე, ბოთლიდან ბოთლში რაღაცას ახალგაზრდა ქალი ასხამდა, თავიდან ვერ მივხვდი, ვინ იყო, ვიფიქრე, მომსახურე პერსონალია, ახალი ოფიციანტი-მეთქი, მერე ის ქალი გაქრა და ახლა ვხვდები, რომ სავარაუდოდ, მან მოწამლა. თუ გნებავთ, „სროკზეც“ გამიშვით, მაგრამ დამიჯერეთ, დამნაშავე დაუსჯელი დარჩება“, – დაკავებული აშკარად გულწრფელი იყო და იმის გათვალისწინებით, რომ რესტორნის ერთ-ერთმა მომსახურე პერსონალმაც თქვა, უცხო ქალი იყო, მერე ვეღარ ვნახეო, ეს ვერსია გამოძიებას სანდოდ ეჩვენა. მათ უნდა გაეგოთ, ვინ იყო ის ქალი და საქმეც გაიხსნებოდა.

„ქალი? შვიდი წელია, ცოლი გარდამეცვალა და ამ შვიდი წლის განმავლობაში, მხოლოდ ერთ ქალთან მაქვს ურთიერთობა, ჩემს ასაკშია დაახლოებით და მეეჭვება, ჩემი სიკვდილი უნდოდეს. ახალგაზრდა ქალთან ურთიერთობა კი არა, არშიყიც არ მქონია და ამიტომ, ვერ ვხვდები, ვინ შეიძლება იყოს“, – განაცხადა დაზარალებულმა.

სამართალდამცავებმა ქალის დაკითხვა მაინც გადაწყვიტეს, მაგრამ მიხვდნენ, რომ ამ ძაფსაც ამაოდ ქაჩავდნენ. ლოგიკურად, დარჩა ორი ადამიანი, ვინც ყოფილი გამომძიებლის ავადმყოფობის შესახებ იცოდა – მისი რძალი და შვილი. გამომძიებლები მათ სახლში ეწვივნენ და შესვლისთანავე მიხვდნენ, რომ ტყუილად მივიდნენ. რძალი ორსულად იყო და ამის შესახებ არც ყოფილ კრიმინალს უთქვამს რამე, არც რესტორნის მომსახურე კიდევ ერთ პირს, რომლებმაც საეჭვო ქალი დააფიქსირეს. ასეთი მნიშვნელოვანი დეტალი არ გამორჩებოდათ და რაც მთავარია, ქალს იმხელა მუცელი ჰქონდა, ვერ დამალავდა. ბიჭს კი, იმ დროისთვის ალიბი ჰქონდა, სამსახურის გამო, სხვა ქალაქში იყო და მამის დაბადების დღეს აცდენდა. რამდენიმე კაცმა დაადასტურა ბიჭის სხვა ქალაქში ყოფნა. გამოძიება ისევ ჩიხში შევიდა და გადაწყდა, რესტორნის თანამშრომლებს ქალის ფოტორობოტი შეედგინათ, ეგებ, დაზარალებულს მასში ვინმე ამოეცნო. მტვირთავიცა და ოფიციანტიც განყოფილებაში დაიბარეს და მხატვარს გვერდით დაუსვეს.

სახის კონტურების მოხატვის შემდეგ, ოფიციანტმა იკითხა, ქალს მთლიანად ხატავთ, თუ მარტო სახესო და როცა უთხრეს, მარტო სახესო, თავისთვის ჩაილაპარაკა, ჰო, მთლიანად რომ დაგეხატათ, ორსულის დახატვა მოგიწევდათო. გამომძიებლებმა ერთმანეთს პირდაღებულებმა გადახედეს და ერთხმად იყვირეს – რაა?! მათ სასწრაფოდ მოიძიეს დაზარალებულის რძლის ფოტო და ორივემ თავი დააქნია, რაღას გვაწვალებდით, ეს ქალიაო. რაღა თქმა უნდა, ქალი დააკავეს და განყოფილებაში წაიყვანეს.

„ჰო, მე ვიყავი და ჯერ მამამთილის, შემდეგ კი ქმრის მკვლელობას ვგეგმავდი. ქმარს როგორ მოვიშორებდი, არ ვიცი, მაგრამ მოვახერხებდი რამეს. მათ მე მონად გამხადეს, ობოლი ვარ, არავინ მყავს და ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ექსპლუატაციას მიწევდნენ. მეტიც, ჩემს ქმარს საყვარელი ჰყავს და უქმად რომ არ იჯდე სახლშიო, მასთან დამლაგებლად მომაწყო. იცით, რას ნიშნავს, როცა ქმრის მიერ სხვა ქალთან გასვრილ თეთრეულს რეცხავ? არ იცით. მამამთილს ვუთხარი და მე რა შუაში ვარ, ოჯახური საქმეები ერთმანეთში მოაგვარეთო. ისე, შური სხვაგვარადაც ვიძიე, ბავშვს ჩემი ქმრისგან არ ველოდები, მეზობლის კაცისგან ველოდები და ვნახოთ, როგორ გამოყოფენ გარეთ თავს, როცა ამას გაიგებენ“, – ერთ ამოსუნთქვას ამოაყოლა ქალმა აღიარებითი ჩვენება.

აღიარების მიუხედავად, ადვოკატის აყვანის შემდეგ, საქმე ყირაზე დადგა. ადვოკატმა თქვა, ყველაფერი ორსულობის ბრალია, ამ დროს ქალი შეურაცხადია, რას საუბრობდა, არ იცოდაო. მამამთილმაც სთხოვა კოლეგებს, სასჯელი შეურბილეთ, ჩემი რძალი კი აღარ იქნება, მაგრამ ორსული ქალის ციხეში ყოფნა არ შეიძლებაო და პრინციპში, არც კანონმდებლობით შეიძლებოდა. ასე იყო თუ ისე, ქალს სასჯელის ზომად, ოთხწლიანი პირობითი მსჯავრი დაადეს, თუმცა ის შინ ვეღარ დაბრუნდა, ქმარმა აღარ მიიღო. მისი ცოლად მოყვანა არც მეზობელმა ისურვა და როგორც ამბობენ, ქალი სოფელში, მშობლების ნახევრად დანგრეულ სახლში დაბრუნდა და რამდენიმე კვირაში გოგონა გააჩინა.

შსს-ს 2023 წლის ანგარიში

მე-5 გვერდიდან

* * *

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, როგორც სანაპირო, ასევე, სახმელეთო საზღვრის დაცვის, სწრაფი რეაგირების, ოპერატიულ-საგამოძიებო კომპონენტების გაძლიერების, მესაზღვრეების გადამზადების, საველე სწავლებების გაუმჯობესების, სექტორების თანამედროვე დაკვირვებისა და აღმოჩენის ტექნოლოგიური სისტემებით აღჭურვის მიმართულებით. განახლდა ელექტრონული დაკვირვების სისტემის ქსელი და დაინერგა საინფორმაციო ტექნოლოგიები.

„საქართველოს ისტორიაში პირველად, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ტაქტიკური ჯგუფის თორმეტმა თანამშრომელმა, საბერძნეთში, მონაწილეობა მიიღო ნატო-ს ეგიდით წარმოებულ საზღვაო უსაფრთხოების ოპერაციაში – „ზღვის მცველი“. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სასაზღვრო ავიაციის გაძლიერების მიმართულებით. გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, „Airbus Helicopters“-თან მოლაპარაკებების საფუძველზე, შვეულმფრენების ჩაბარების ვადები შემცირდა და შინაგან საქმეთა სამინისტროს „H 145“-ის პირველი ბორტი უკვე გადმოეცა, ხოლო დანარჩენი ორი ბორტი უახლოეს პერიოდში გადმოეცემა. ეს არის მრავალფუნქციური შვეულმფრენი, რომელსაც შეუძლია პოლიციური, სატრანსპორტო, სამძებრო და სამაშველო ფუნქციების შესრულება. ახალი შვეულმფრენი სრულადაა დაკომპლექტებული ხანძართან ბრძოლისა და სამთო-სამაშველო აღჭურვილობით. ამ ტიპის შვეულმფრენი მაღალ სიმაღლეზე ოპერირებისა და მანევრის შესაძლებლობებით გამოირჩევა, რაც საქართველოს მაღალმთიანი რელიეფის გათვალისწინებით, არსებულ ამოცანებთან სრულად თავსებადია“, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

აღნიშნული შვეულმფრენების საშუალებით, გერმანიაში, „Airbus Helicopters“-ის სასწავლო აკადემიაში, მფრინავები და ბორტ-ტექნიკოსები თეორიულად და პრაქტიკულად მოამზადეს. მინისტრის განცხადებით, გასულ წელს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა შეიძინა 2 მილიონ ლარამდე ღირებულების 4 სწრაფმავალი კატარღა, 11 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების სახანძრო-სამაშველო მანქანა, 3 მილიონ 500 ათასი ლარის ღირებულების მეხანძრე-მაშველისთვის საჭირო სპეციალური ეკიპირება და 4 მილიონ ლარამდე ღირებულების სახანძრო-ტექნიკური ცეცხლგამძლე სამოსი.

„აშშ-ის საელჩოს დახმარებით, 2023 წელს, სწრაფი რეაგირების მთავარი სამმართველოს თანამშრომლებს ჩაუტარდათ შვიდი სწავლება. საერთო ჯამში, ამერიკის მხარდაჭერით, სასაზღვრო პოლიციის ორასამდე თანამშრომელი გადამზადდა. სასაზღვრო პოლიციის განვითარების კუთხით, გასულ წელს, დონორი ორგანიზაციების მიერ, საქართველოს სასაზღვრო პოლიციისთვის გაწეულმა დახმარებამ 3 მილიონზე მეტი ამერიკული დოლარი შეადგინა. ევროკავშირის დახმარებით, სასაზღვრო პოლიციის ავტოპარკი განახლდა და საქართველოს სასაზღვრო პოლიციას მილიონ ევროზე მეტი ღირებულების მაღალი გამავლობის 20 სატვირთო და მსუბუქი ავტომობილი გადაეცა“.

* * *

2023 წელს, გზებზე სიჩქარის კონტროლისა და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველსაყოფად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ აქტიურად ვითარდებოდა ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა. 2023 წელს, ამოქმედდა 883 ვიდეოკამერა, მათ შორის 672 – ზოგადი ხედვის, ხოლო 211 – ნომრის ამომცნობი. ქვეყნის მასშტაბით, სისტემაში, ჯამში – 7 419 ვიდეოკამერაა ჩართული; საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მიმართულებით განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის თანახმად, გამკაცრდა სანქციები სიჩქარის გადაჭარბებაზე, ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვაზე, ზამთრის საბურავების გარეშე, მაღალმთიან რეგიონებში გადაადგილების შეზღუდვაზე – 1 დეკემბრიდან 1 მარტის პერიოდში.

„2023 წელს, ქვეყნის მასშტაბით, ამოქმედდა 168 სექცია, რომელიც 447 კილომეტრი სიგრძის საგზაო მონაკვეთს ფარავს. შედეგად, საქართველოს მასშტაბით, სულ მოწყობილია 574 საშუალო სიჩქარის კონტროლის სექცია, რაც ჯამურად 2 024 კილომეტრს ფარავს. გარდა ამისა, 2023 წელს, დასრულდა პროექტი – „ტრენინგი პოლიციელებისთვის საქართველოში, საგზაო უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად მრავლისმომცველი მიდგომით“. ჯამში, სამინისტროს 150 თანამშრომელი გადამზადდა. პროექტის ფარგლებში, ეტაპობრივად განხორციელდა ტრენინგები პოლონეთსა და საქართველოში, დასასრულს, პოლონეთის მხარემ შინაგან საქმეთა სამინისტროს საჩუქრად სპეციალური აღჭურვილობა გადასცა“.

* * *

2023 წელს, წინა წელთან შედარებით, 2%-ზე მეტით გაიზარდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა რაოდენობა. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად დაშავებულთა რაოდენობა 3%-მდეა შემცირებული, ამავე პროცენტული რაოდენობით გაიზარდა დაღუპულთა რიცხვი.

„საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში შეიქმნა ახალი დანაყოფი – საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ანალიზის განყოფილება, რომელიც სამომავლოდ უზრუნველყოფს ავტოსაგზაო შემთხვევების გამომწვევი მიზეზების დეტალურ ანალიზს, ე.წ. „შავი წერტილების“ იდენტიფიცირებასა და შემდგომში პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას. გამკაცრებული კანონის, გაზრდილი ჯარიმებისა და საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად განხორციელებული არაერთი აქტივობის შედეგად, გასული წლის სამი კვარტლის მონაცემებით, ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ იკლო. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მეოთხე კვარტალში, ამ მიმართულებით არსებული სტატისტიკა გაუარესდა“.

* * *

საგზაო უსაფრთხოების დაცვაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებს. ქვეყნის მასშტაბით, ეტაპობრივად ფართოვდება დეპარტამენტის არეალი და 2024 წელს, აღნიშნული პროცესი გაგრძელდება რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში. საპოლიციო ინფრასტრუქტურის განახლების ფარგლებში, თითქმის სრულად ჩანაცვლდა საპატრულო პოლიციის მექანიკურ გადაცემათა კოლო-

დასასრული მე-12 გვერდზე

შსს-ს 2023 წლის ანგარიში

მე-11 გვერდიდან

ფის მქონე სატრანსპორტო საშუალებები, ახალი ავტომატური გადაცემათა კოლოფის მქონე სატრანსპორტო საშუალებებით, რაც აუმჯობესებს და ამარტივებს პატრულ-ინსპექტორების სამუშაო პროცესს. ასევე, მაღალმთიან რეგიონებში დაიწყო საპატრულო მანქანების ჩანაცვლება მაღალი გამავლობის ავტომანქანებით.

„2022-2023 წლებში, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველოს შემადგენლობის რაოდენობა 158 საშტატო ერთეულით გაიზარდა. 2024 წელს, პროცესი გაგრძელდა და კვლავ დაემატა 100 საშტატო ერთეული. მგზავრთა გადაადგილებისა და გამტარი პუნქტების გამტარუნარიანობის ზრდის პარალელურად, 2023 წელს, სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის დროულად და ეფექტიანად განხორციელების მიზნით, თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის აეროპორტებში განახლდა და დამატებით მოეწყო მესაზღვრე-კონტროლიორთა სამუშაო სივრცეები, ე.წ. საპასპორტო ჯიხურები, რაც ხელს უწყობს, როგორც თანამშრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, ასევე მოქალაქეებისთვის, ვიზიტორებისა და ტურისტებისთვის მაღალი ხარისხის სერვისის მიწოდებას“.

ვახტანგ გომელაურის განცხადებით, ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტო „FRONTEX“-ის მიერ ორგანიზებული, ერთობლივი ოპერაციის ფარგლებში, ევროკავშირის ასოცირებული ქვეყნების აეროპორტებში დამატებით ექსპერტებად განთავსებულნი არიან საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, 2023 წელს, 22 ერთობლივი ოპერაცია ჩატარდა.

„საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, სამინისტროს რესურსით განახლდა პიროვნებისა თუ ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციისა და იდენტიფიცირების, როგორც პირველადი, ასევე, სიღრმისეული შემოწმების ტექნიკური აღჭურვილობა. ამასთან, კვალიფიკაციის ასამაღლებელი არაერთი სწავლება ჩატარდა, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები გადამზადდნენ სახელმწიფო საზღვრის რისკების ანალიზის მიმართულებით. საპასპორტო სასაზღვრო კონტროლის ეფექტიანად განსახორციელებლად, გამტარ პუნქტებს გადაეცათ დოკუმენტების პირველადი ინსპექტირებისთვის აუცილებელი პასპორტ-წამკითხველების თანამედროვე მოდელები და მეორადი ინსპექტირებისათვის აუცილებელი ლაბორატორიები. ასევე, მესაზღვრე-კონტროლიორთათვის აუცილებელი საკომუნიკაციო საშუალებები სრულად განახლდა“.

მინისტრის განცხადებით, 2023 წელსაც გაგრძელდა საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება სხვადასხვა მიმართულებით, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, ასევე, ქვეყნის გარეთ, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ სემინარებსა და ტრენინგებში. საანგარიშო პერიოდში, საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტრმა ჩაატარა მოქალაქეთა კმაყოფილების კვლევა და გამოიკვეთა, რომ პატრულ-ინსპექტორების კომპეტენტურობა, მოქალაქის მიმართ კეთილგანწყობა და პრობლემის გადაჭრაზე ფოკუსირება, რესპოდენტების 97%-ის მიერ შეფასდა დადებითად, ხოლო სატელეფონო ცენტრის მომსახურებით კმაყოფილების დონის მაჩვენებელი 94%-ია.



* * *

შინაგან საქმეთა მინისტრმა, სიტყვით გამოსვლისას, ყურადღება გაამახვილა მაღალი დონის საერთაშორისო ვიზიტებზეც.

„საქართველოს ისტორიაში პირველად, გერმანიისა და ესპანეთის შინაგან საქმეთა მინისტრები ჩვენს ქვეყანაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ, ასევე, გვქონდა ვიზიტები და ოფიციალური შეხვედრები გერმანიასა და უნგრეთში, შინაგან საქმეთა მინისტრებთან“.

ვახტანგ გომელაურმა, სიტყვით გამოსვლისას, სამინისტროს თანამშრომლების სოციალური გარანტიების გაძლიერებაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ პოლიციელების სოციალური გარანტიების გაძლიერების მიმართულებით, 2023 წელი მნიშვნელოვანი იყო. მინისტრის თქმით, გრძელდება სამინისტროს თანამშრომლების ხელფასების ზრდა.

„შეიძლება ითქვას, რომ 2023 წელი, სოციალური გარანტიების გაძლიერების მიმართულებით, მნიშვნელოვანი წელი იყო. ამავე წელს, პოლიციელებისთვის ღირსეული სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით, აშენდა, გარემონტდა და ახალი ინფრასტრუქტურითა თუ ტექნიკით აღიჭურვა სხვადასხვა დანაყოფის შენობები, ასევე, აქტიურად გაგრძელდა ავტოპარკის განახლება“.

შინაგან საქმეთა მინისტრმა „პოლიციის ქალაქის“ მშენებლობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ პროექტის ფარგლებში, 1 000-მდე პოლიციელი მიიღებს ბინას.

ვახტანგ გომელაურმა ისიც აღნიშნა, რომ მთავრობის ინიციატივით, 2023 წელს, პარლამენტს წარედგინა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს ძალოვანი უწყებებიდან დათხოვნილ მოსამსახურეთა სოციალური გარანტიების გაუმჯობესებას.

შინაგან საქმეთა მინისტრმა დეპუტატებს ინფორმაცია მიაწოდა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, 2023 წელს განხორციელებულ მნიშვნელოვან პროექტებზე და აღნიშნა, რომ ქვეყნის მასშტაბით, ეტაპობრივად ფართოვდება საპატრულო პოლიციის სამოქმედო არეალი.

ვახტანგ გომელაურმა სასაზღვრო პოლიციის, ასევე, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში საზღვრის დაცვის მიმართულებით განხორციელებულ რეფორმებზეც ისაუბრა.

ვახტანგ გომელაურის თქმით, გასულ წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სახმელეთო საზღვრის დაცვის, სწრაფი რეაგირების, ოპერატიულ-საგამოძიებო კომპონენტების გაძლიერების, მესაზღვრეების გადამზადების, საველე სწავლებების გაუმჯობესების, სექტორების აღჭურვის, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვისა და სასაზღვრო პოლიციის შესაძლებლობების განვითარების მიმართულებითაც.

ვახტანგ გომელაურმა, ასევე, ისაუბრა უწყების მიერ შემუშავებულ საკანონმდებლო ინიციატივებზე და აღნიშნა, რომ გასულ წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიცირებით, არაერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა.

სიტყვით გამოსვლის დასასრულს, ვახტანგ გომელაურმა განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო მიმდინარე წელსაც აქტიურად გააგრძელებს დანაშაულის პრევენციას, კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლას, მართლწესრიგისა და მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვას, საპოლიციო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ღონისძიებებისა და რეფორმების განხორციელებას.

შინაგან საქმეთა მინისტრმა უწყების თანამშრომლებს საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვისთვის მადლობა გადაუხადა.

ვახტანგ გომელაურმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული თანამშრომლების ხსოვნას პატივი მიაგო.

სილამაზის კონკურსის მონაწილე გოგონას სახეში „ზელიონკა“ შეასხეს

რა მოხდა თბილისის ერთ-ერთ კაფეში და ვის კვალზე გავიდა გამოძიება

ბათო ჯაფარიძე

საბჭოთა კავშირში ყველა მოქალაქე ლამაზი იყო, ამიტომ სილამაზის კონკურსები არ ტარდებოდა და ასეთი კონკურსები კაპიტალისტურ გადმონაშთად მიიიჩნეოდა, თუმცა ქალები ერთმანეთს სილამაზეში საბჭოთა კავშირის დროს კი არა, სავარაუდოდ, პალეოლითისა და ნეოლითის ხანაშიც ეჯიბრებოდნენ. მერე, როცა საბჭოეთში „პერესტროიკა“ დაიწყო, მიხეილ გორბაჩოვმა მოსახლეობას მოუწოდა, სილამაზის კონკურსებიც ჩავატაროთ და გავიგოთ, ბოლოს და ბოლოს, ვინ არის ყველაზე ლამაზი ქალბატონიო. ყველაფერმა ამან, მაშინ ძალიან დიდი რეზონანსი გამოიწვია, მოსახლეობა აპროტესტებდა, გოგონები ერთმანეთს საჭმლის კეთებასა და სხვა საოჯახო საქმეებში უნდა შეაჯიბროთ და არა სილამაზეშიო. ერთი ეგ იყო, მაშინ ბოტოქსი, ფილერი, სილიკონი და მამაკაცთა გულის მოსაგებად კიდევ ათასი ხრიკი თუ ნივთიერება არ იყო მოგონილი და კონკურსის მონაწილეები ბუნებრივი სილამაზით წარსდგნენ ჟიურის წინაშე. უზარმაზარი ფურორი გამოიწვია კონკურსანტების საცურაო კოსტუმში გავლამ. საბოლოო ჯამში, ეს კონკურსი „მოსკოვის ლამაზმანი 88“-ად მოინათლა და პირველი გამარჯვებული მაშა კალინინა გახდა.

აი, ახლა, შესაძლოა, გაოცებისგან პირი დააღოთ, მაგრამ მოსკოვში გამართულ ჩვენებამდე ოთხი წლით ადრე, 1984 წელს, „მის თბილისი“ ჩატარდა და გამარჯვებული ეკა აბაშიძე გახდა, ერთი წლის შემდეგ, ამავე კონკურსში მსახიობმა ნუკა კაციტაძემ გაიმარჯვა... ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, სწორედ ასეთი კონკურსის წინ მოხდა და მაშინ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, მაგრამ... დამნაშავე გამოავლინეს, თუმცა ვერ დააკავეს.

საქართველოს დედაქალაქი სილამაზის მორიგი კონკურსისთვის ემზადებოდა და იმის გათვალისწინებით, რომ თბილისი, მართლაც, პატარაა, მონაწილეთა ვინაობა ყველამ იცოდა და რაც მთავარია, გამარჯვების კანდიდატებიც გამოკვეთილნი იყვნენ. ჰოდა, ერთ-ერთი გოგონა, რომელსაც მოგებაზე ჰქონდა პრეტენზია, დედასთან ერთად კაფეში საუზმობდა, რა დროსაც, სახეზე ქუდჩამოფხატულმა ახალგაზრდა კაცმა გვერდით ჩაურბინა და სახეში გაურკვეველი სითხე შეასხა. გოგონას კივილი აღმოხდა, მაშინვე სახეზე იტაცა ხელი, მერე თითებს დახედა და ნამდვილი ისტერიკა დაეწყო – სახეცა და ხელებიც მწვანე ჰქონდა ანუ სავარაუდოდ, მას ბრილიანტის მწვანე, ე.წ. ზელიონკა შეასხეს. სანამ გარშემომყოფნი გარკვეოდნენ, რა მოხდა, გოგონამ კივილი დაიწყო, დედამისმა კი ისეთი ხმა ამოუშვა, ლამის, მთელი უბანი იმ კაფესთან შეიკრიბა და როცა მიხვდნენ, რომ ეს მხოლოდ „ზელიონკა“ იყო, დამშვიდდნენ ანუ გოგონას სახე არ დაუმახინჯდებოდა. რა თქმა უნდა, ადგილზე სამართალდამცავები გამოიძახეს და ისინი საქმეში მთელი სერიოზულობით ჩაერთვნენ. ეს, პრაქტიკულად, სილამაზის კონკურსის მონაწილის წინააღმდეგ ჩადენილი დივერსიული აქტი იყო. პირველ რიგში, მათ კაფეს სხვა სტუმრები დაკითხეს.

ყველას ჩვენება ერთმანეთს ჰგავდა, მოწმეები კონკრეტულს ვერაფერს ამბობდნენ, თუმცა ერთ-ერთმა უცნაური რამ გაიხსენა – „გოგონამ ხელებს რომ დახედა, ხოლო მერე სარკეში ჩაიხედა, თავისთვის ჩაიჩურჩულა – იდიოტი, „ზელიონკა“ ხომ მარტივად არ შორდება“. არ ვიცი, ვინ იგულისხმა, მაგრამ ასე კი იყო“, – თქვა მან.

სამართალდამცავები არ გამორიცხავდნენ ვერსიას, რომ თავად გოგონამ იცოდა მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ, მაგრამ რატომ და რისთვის? ერთ-ერთი ვერსიით, ამით სურდა, ყურადღება მიეპყრო და კონკურსზე გამარჯვების მეტი შანსი ჰქონოდა, აქაოდა, აშკარა ფავორიტს ებრძვიან და ა.შ. დაჰკითხეს კონკურსის ორგანიზატორებიც და საერთოდ დაიბნენ – როგორც ორგანიზატორებმა განაცხადეს, გოგონას მონაწილეობა საერთოდ არ სურდა და ამას მხოლოდ დედის ხათრით აკეთებდა, დედა კი, რბილად რომ ვთქვათ, ხელმოცარული მსახიობი იყო და ცდილობდა, ახლა შვილისთვის მიეცა ის, რაც თითქოს თავად დააკლდა. გოგონას მამა ცალკე ცხოვრობდა, არცთუ ურიგო თანამდებობა ეკავა და საკმარისი შემოსავალიც ჰქონდა. როცა მან შვილის ამბავი გაიგო, ცოფები ჰყარა, ცოლს საჯაროდ და სახალხოდ მიახალა, შენ ხომ დაიღუპე თავი, ახლა, გინდა, ბავშვიც დაღუპოო?! სამართალდამცავებმა გადაწყვიტეს, გოგონასთვის ეთვალთვალათ და მას ეჭვი რომ არ აეღო, სათვალთვალოდ ქალი ოპერმუშაკი გაუშვეს. იმავე საღამოს, ოპერმუშაკის პატაკმა თითქმის ყველაფერს ნათელი მოჰფინა.

„სათვალთვალო ობიექტი ახალგაზრდა მამაკაცს შეხვდა, სავარაუდოდ, შეყვარებულს, რადგან ერთმანეთს ძალიან თბილად ეასაუბრებოდნენ. გოგონამ უსაყვედურა, „ზელიონკა“ რატომ შემასხი, სპეციალური ხსნარებით ბოლომდე ჯერაც ვერ მოვიცილეო, რაზეც მამაკაცმა მიუგო, რომ არაფერი შეუსხამს, რომ ის მიდიოდა დავალების შესასრულებლად, მაგრამ გზაში უცნობთან ჩხუბი მოუვიდა, ცოტა ხნით დააკავეს, მერე გამოუშვეს და როცა ადგილზე მივიდა, იქ ყველაფერი დასრულებული დახვდა. წყვილი იმაზე ფიქრობდა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო თავდამსხმელი ანუ მათ ჰქონდათ გეგმა, რომელიც სხვამ განახორციელა“, – წერდა ოპერმუშაკი. გოგონა და მისი შეყვარებული დაკითხვაზე დაიბარეს.

„პირდაპირ გეტყვით, არ მინდოდა ამ კონკურსში მონაწილეობა, მაგრამ დედას ხათრს ვერ ვუტეხდი. ამიტომ, ჩემს შეყვარებულს ვთხოვე, ამა და ამ დროს, კაფეში, დედასთან ერთად ვიქნები, რამე შემასხი სახეზე, რომ დედა დავაშინო, არანორმალური კონკურენციაა და ვიღაცამ შეიძლება მომკლას-მეთქი, იმასაც შეეშინდებოდა და უარს მეტყოდა, მაგრამ ხედავთ, რა გამოვიდა? ჩემი შეყვარებული თქვენმა კოლეგებმა ჩხუბის გამო დააკავეს, ადგილზე მხოლოდ ორი საათის შემდეგ მოვიდა, მე კი მართლა შემასხეს სახეში „ზელიონკა“ და წარმოდგენა არ მაქვს, ეს ვინ გააკეთა. ახლა მხოლოდ დედაჩემს კი არა, მეც ძალიან მეშინია. თურმე, ამ კონკურსში მონაწილეობა მართლაც სახიფათოა და ახლა მიხარია, მჟავა რომ არ შემასხეს და არ დამწვეს“, – განაცხადა გოგონამ.

ეს განცხადება ძალოვნებისთვის შეღავათი ნამდვილად არ იყო. გამოდიოდა, რომ კრიმინალი მართლაც მოხდა და მათ დამნაშავე უნდა ეპოვათ. თუმცა, სად იყო და ვინ იყო დამნაშავე? რა მოტივი ამოძრავებდა და რაც მთავარია, ხომ არ იყო ეს პიროვნება დაკავშირებული კონკურსის სხვა მონაწილესთან, რომლის დავალებითაც მოქმედებდა?! ამ კითხვებზე პასუხი სწორედ გამოძიებას უნდა გაეცა. სწორედ ამ მიზნით, მათ კონკურსის არა მონაწილეთა, არამედ, ფავორიტთა გარემოცვის შესწავლა დაიწყეს. პარალელურად, ერთ-ერთმა ძალოვანმა ინფორმაცია მოიტანა, გოგონას მამა რამდენიმე კრიმინალურ ავტორიტეტთან მეგობრობს და გასაოცარი ის არის, რომ მათ არ სთხოვა დახმარება, პირიქით, თავად მათ შესთავაზეს, დაგეხმარებით თავდამსხმელის მოძებნაშიო და ამან უარი უთხრაო.

გამომძიებლებმა ახლა მამის თვალთვალი დაიწყეს და მხოლოდ ის გაარკვიეს, რომ ის მთლიანად ბიზნესზე იყო გადართული, მას ყველა ერიდებოდა, რადგან ძალიან მკაცრი გახლდათ და მხოლოდ ელექტრომემონტაჟე ესაუბრებოდა შინაურულად. ოპერმუშაკმა, რომელიც თვალთვალს ახორციელებდა... სწორედ ეს ელექტრომემონტაჟე დააკავა და განყოფილებაში მიიყვანა. გამომძიებელმა გაოცებით შეხედა, თუმცა ოპერმა ამაყი სახით, დაპატიმრებულის ხელი მაგიდაზე დადო და ოთახში მყოფთაგან, ყველამ დაინახა, რომ მას თითებზე... „ზელიონკა“ ეცხო. თავის დაძვრენას აზრი არ ჰქონდა.

„რა უნდა ვთქვა? „ბოსმა“ ორიოდე კვირის წინ დამიბარა და მითხრა, ჩემი გოგონა სილამაზის კონკურსში აპირებს მონაწილეობას, მე კიდევ, არ მინდა, რომ იქ გამოვიდეს და უკანალი იქნიოსო. გადაწყვეტილი ჰქონდა, როგორმე დაეშინებინა და „ზელიონკის“ შესხმა სწორედ მან მოიფიქრა, მე ფული გადამიხადა და გავაკეთე ის, რაც გავაკეთე. ახლა შედეგით კმაყოფილია და მეც მეძმაკაცება. ვიცი, არ უნდა მექნა, მაგრამ როცა „შეფი“ რამეს დაგავალებს, უარის თქმა ძნელია“, – განაცხადა დაკავებულმა და დაზარალებულის მამის დაკითხვის დრო დადგა.

„ჩემი ცოლი მთელი ცხოვრება იმას ამტკიცებდა, უნიჭიერესი მსახიობი ვარ, უბრალოდ, გასაქანს არ მაძლევენო. მერე, ვიღაც რეჟისორის საყვარელი გახდა და სწორედ ამიტომ დავშორდი. იმ რეჟისორმა რაღაც მასიურ სცენაში გადაიღო და მორჩა. მერე სხვა რეჟისორს აეტორღიალა, მერე კიდევ სხვას. ახლა აიჩემა, ჩემი შვილი უნდა გახდეს ვარსკვლავიო და გოგოს დასაღუპავად იმეტებდა. ამიტომ, მოვიფიქრე ის, რაც მოვიფიქრე და ვერავინ გამამტყუნებს, საქმე ჩემს ერთადერთ შვილს ეხება“, -განაცხადა კაცმა.

გოგონამ როცა გაიგო, რომ ყველაფრის უკან მამამისი იდგა, ძალიან ბევრი იცინა და რა თქმა უნდა, არ იჩივლა. ძალოვნებმაც როგორღაც „ჩაფარცხეს“ საქმე და არავინ დაუკავებიათ. სილამაზის კონკურსი კი იმ წელს მაინც შედგა და... გოგონა, რომელსაც „ზელიონკა“ შეასხეს, მესამე ადგილზე გავიდა. ჰო, მან კონკურსში მონაწილეობა იმ პირობით მიიღო, რომ ამის შედეგ დედა აღარ შეაწუხებდა და არ ეტყოდა, რომ მისგან ახალი სოფი ლორენი უნდა გამოეძერწა.

ფრთხილად, ბერძნებო – გავარვარებული ღუმელი გველოდება!

გასულ კვირას, საქართველო-ლუქსემბურგის შეხვედრამ, პრაქტიკულად, ყველა მოვლენა გადაფარა. საქართველოს ნაკრებმა ერთა ლიგის პლეი-ოფის ნახევარფინალში ლუქსემბურგი დაამარცხა და ფინალში ბერძნებს ვხვდებით. შეხვედრა 26 მარტს უნდა გაიმართოს და ის, რასაც ახლა დავწერთ, ამ შეხვედრამდეა. რაც საქართველოში ხდება, ყველამ კარგად იცის და რა ხდება ამ დროს საბერძნეთში? ელადელებმა ხომ ჩვენსავით იციან, ამ შეხვედრაში გამარჯვებული, ევროპის ჩემპიონატზე მიდის. ბერძნებს ევროპირველობა არ უკვირთ, ოტო რეჰაგელის ხელში, კონტინენტის ჩემპიონებიც კი გახდნენ, საქართველო კი... საქართველოს ევროპის ჩემპიონატზე არასდროს უთამაშია და თუ ბერძნებს მოვუგებთ... პრინციპში, „თუ“-ს გაგონება არავის სურს და იმედია, როცა ეს სტატია გექნებათ წაკითხული, ჩვენს ნაკრებს ისტორიაში ახალი ფურცელი ექნება ჩაწერილი.

მაშ ასე, რას ფიქრობენ ბერძნები და ზოგადად, რას წერს ბერძნული მედია? ყველაზე საინტერესო სათაური მაინც ერთ-ერთ გამოცემას ჰქონდა – „ფრთხილად, ბერძნებო – გავარვარებული ღუმელი გველოდება!“ ელადელებმა ზუსტად იციან, რომ აქ ჯოჯოხეთი ელით, რომ გულშემატკივარი 90 წუთის განმავლობაში არ გაჩერდება, რომ ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა და უბრალო მატჩზე მეტია. ბერძენმა ჟურნალისტებმა გეორგიოს ლიმნიატისი მოიხელთეს, კაცი, რომელიც საქართველოს საკალათბურთო ნაკრებში ილიას ზუროსის თანაშემწე იყო და აქ წლების განმავლობაში იცხოვრა. სავარაუდოდ, ვერავინ მისცემდა ისეთ ზუსტ შეფასებას ქართველებს, როგორც ეს ლიმნიატისმა გააკეთა. მთელ ინტერვიუს არ შემოგთავაზებთ, მაგრამ იმ ამონარიდებს გაგაცნობთ, რომელიც ლიმნიატისმა თანამემამულე ჟურნალისტებს უთხრა და... არ გვეგონა, თუ ასე კარგად გვიცნობდა ეს კაცი:

„ჩვენ იქ ჯოჯოხეთი გველოდება, ფეხქვეშ მიწა დაგვეწვება და ნაკრების ფეხბურთელები ამისთვის მზად უნდა იყვნენ. მე ნამყოფი ვარ სტადიონზე, როცა მათი სარაგბო ნაკრები თამაშობდა. ატმოსფერო შთამბეჭდავი იყო. სპორტის ეს კონკრეტული სახეობა კი იდეალურად გამოხატავს მათ ტემპერამენტს, რამდენადაც რაგბი სპორტის დინამიური სახეობაა, ბევრი კონტაქტით და ამაზე ჭკუას კარგავენ. მაგრამ ერთია ატმოსფერო და განსხვავებულია მათი ქცევა. ისინი ზიანს არავის აყენებენ. მახსოვს, როდესაც „ევრობასკეტის“ შესარჩევში საბერძნეთმა მოგვიგო, ბერძენმა ფანატებმა წარმატება ათეულობით ქართველი გულშემატკივრის თანდასწრებით, უპრობლემოდ იზეიმეს...

ჩვენ ვსაუბრობთ ხალხზე, რომელიც ჭკუას კარგავს თავის ქვეყანაზე, აქვს ძალიან ძლიერი პატრიოტული გრძნობა და სჯერა, რომ ყველაფერს მიაღწევს. როდესაც 3X3 კალათბურთის გუნდი შევქმენით, გვითხრეს, „ჩვენ აშშ-ს მოვუგებთ!“ ხოლო, როცა „ევრობასკეტის“ ჯგუფის მასპინძლობისას ვკითხეთ, რა იყო ჩვენი მიზანი, გვითხრეს, რომ მედლები, მაგრამ ისინი ბუნებრივად ასეთები არიან და გულწრფელად ფიქრობენ, რომ ყველაფერი საუკეთესოდ გამოუვათ. მრავალი წლის განმავლობაში, მათ პირველად ეძლევათ დიდ ტურნირზე გამოსვლის შანსი და ისინი ააფეთქებენ მოედანსაც და ქვეყანასაც. ისინი „მეომარი ძაღლები“ არიან, უკან არაფერზე იხევენ. ჩვენი გუნდის მთამაშეები გვეუბნებოდნენ, რომ ნაკრებისთვის თავს გასწირავდნენ. მართლა ასე იყო და ასე იქნება მომავალშიც, სამშაბათს ძალიან რთულ და დაძაბულ თამაშს ველოდები...

ისინი ძალიან ამბიციურები არიან და ეს მათთვის სიცოცხლის მატჩია. მათ სიგიჟემდე უყვართ სპორტი ისევე, როგორც რელიგიური ტურიზმი და ძველი ტაძრების მონახულება. ჩვენგან განსხვავებით, ძლაიან არ უყვართ რუსეთი, განსაკუთრებით, 2008 წლის ომის შემდეგ“...

ეს თქვა კაცმა ჩვენზე, რომელმაც აქ რამდენიმე წელი გაატარა... 26 მარტს, ჩვენთვის საუკუნის მატჩია და წაგების უფლება უბრალოდ არ გვაქვს. იმედია, ეს ყველაზე კარგად ფეხბურთელებმა იციან.

„ვალენსიას“ შეფი – მამარდაშვილი იყიდება

ყველა თანხმდება, რომ ესპანური „ვალენსიას“ მთავარი ვარსკვლავი გიორგი მამარდაშვილი გახლავთ. ქართველი მეკარემ მართლაც საოცარ სეზონს ატარებს, ამიტომ ეჭვგარეშეა, რომ ის ამ გუნდისთვის უკვე გადაზრდილია და კარიერა სხვა, უფრო ამბიციურ კლუბში უნდა გააგრძელოს. სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ „ღამურები“ ქართველის გაყიდვას 40 მილიონ ევროდ შეეცდებოდნენ, მაგრამ ისე ჩანს, კლუბის მფლობელი პიტერ ლიმი, ბევრად იაფად შეელევა თავის მარგალიტს.

„მე, პირველ რიგში, ბიზნესმენი ვარ და მეკარე, რომელიც მილიონიც კი არ დამიჯდა, მარტივად გაიყიდება 25 მილიონად. დიახ, თუ მამარდაშვილში ამ თანხას შემომთავაზებენ, მე მას გავყიდი“, – ესპანელი ჟურნალისტი ამტკიცებს, პიტერ ლიმმა ეს სიტყვები პირადად მითხრაო.

სტატია საქართველო-საბერძნეთის მატჩამდეა დაწერილი და გვერწმუნეთ (თან, ძალიან გვჯერა), თუ საქართველო ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს, არა მარტო მამარდაშვილის, არამედ, ნაკრების ყველა ფეხბურთელის ფასი და მაათზე მოთხოვნა ძალიან გაიზრდება.

თბილისის გრანდ სლემის საოცარი ემოციები – ოქროების ცვენა, ცრემლი და ქორწილი

თბილისის სპორტის სასახლეში ძიუდოისტთა გრანდ სლემი დასრულდა. შეიძლება, თამამად ითქვას, რომ ემოციურად ასეთი დატვირთული არა მარტო თბილისის, არამედ, ზოგადად, გრანდ სლემები არ გვახსოვს. დავიწყოთ იმით, რომ ოქროს მედალი მოიპოვა ეთერ ლიპარტელიანმა და ეს მოვლენა ორი რამის გამო გახლდათ უნიკალური – ეთოსთან ერთად, კვარცხლბეკზე კიდევ სამი ძიუდიოსტი გოგონა იდგა, ერთი ვერცხლის მფლობელი, ორი – ბრინჯაოსი, ეთერმა თითოეული მათგანი დაამარცხა – სხვადასხვა დროს, სამვიე მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს ფლობდა. ამასთან ერთად, გაჩემპიონების შემდეგ, ეთერს ხელი პირდაპირ ტატამზე, ასევე ძიუდოისტმა თემურ ნოზაძემ სთხოვა და თანხმობაც მიიღო. შესაბამისად, ლიპარტელიანი კვარცხლბეკზე ოქროს მედლითა და ოქროს ბეჭდით იდგა.

კიდევ ერთმა ლიპარტელიანმა, საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ვარლამმა კარიერა დაასრულა. მის ანგარიშზე რამდენიმე ათეული ოქროს მედალია, ევროპის ჩემპიონი „ლიპო“ სამჯერ გახდა, მსოფლიოზე ორჯერ ვერცხლს დასჯერდა, ერთხელ კი ოლიმპიადის ფინალი დათმო. კარიერა დაასრულა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა ავთანდილ ჭრიკიშვილმა. „ჩირიკას“ გაცილების ცერემონიაც თბილისის გრანდ სლემზე გაიმართა.

-100 კილოგრამში, ესპანეთის სახელით ოქროს მედალი მოიპოვა ნიკო შერაზადიშვილმა და მას ადგილობრივი პუბლიკის არნახული მხარდაჭერა ჰქონდა. მძიმე წონაში, ფინალში, ერთმანეთის წინაშე გურამ თუშიშვილი და „აზერბაიჯანელი“ უშანგი კოკაური წარსდგნენ, თუშამ ოქროს მედალი მოიგო და ზედიზედ მეშვიდედ მოხდა, რომ თბილისის გრანდ სლემზე, მძიმე წონაში ოქროს არ ვთმობთ. მანამდე იყო ლაშა შავდათუაშვილის ოქრო და ლაშა ბექაურის ტრიუმფი, რომელმაც პირველობა ასევე არავის დაუთმო. საერთო ჯამში, საქართველოს ნაკრებმა გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა.

დაუჯერებელი ამბავი – „ადიდასი“ ბუნდესნაკრებს აღარ შემოსავს

ზუსტად 100 წლის წინ, 1924 წელს, ადოლფ დასლერმა დააარსა კომპანია, რომელიც დღემდე სპორტის სამყაროში, ალბათ, მთავარი ბრენდია. დამაარსებელმა კომპანიას თავისის სახელისა და გვარის პირველი სამი ასოსგან შემდგარი სახელი – „ადიდასი“ (მეგობრები და ოჯახის წევრები ჰერ ადოლფს „ადი“-ს ეძახდნენ) დაარქვა. მას შემდეგ, ეს კომპანია იზრდება, ვითარდება და მის სახელს უკავშირდება მთავარი – უმაღლესი ხარისხი. ჰოდა, რა გასაკვირია, პრაქტიკულად, ყველა გერმანულ ნაკრებსა თუ კლუბს რომ სწორედ „ადიდასი“ მოსავს და რაღა თქმა უნდა, ქვეყნის უპირველეს, გერმანიის საფეხბურთო ნაკრებს, 1954 წლიდან, სწორედ „ადიდასის“ ემბლემით დამშვენებული მაისურები და ტრუსები აცვია. ახლა კი... ახლა ასე აღარ იქნება, გერმანიის საფეხბურთო კავშირმა განაცხადა, რომ მათ უკეთესი პირობა ამერიკულმა „ნაიკმა“ შესთავაზა და ამიტომ, 2027 წლიდან ანუ როცა „ადიდასთან“ მოქმედი ხელშეკრულება ამოიწურება, გერმანიის ეროვნული და, ზოგადად, ყველა ასაკობრივი ნაკრები, „ნაიკით“ შეიმოსება. ხელშეკრულება 2034 წლამდეა დადებული...

„ადიდასი“ არა მარტო ნაკრების, არამედ, ქვეყნის სიმბოლოა და საფეხბურთო კავშირი დათმობაზე უნდა წასულიყო“, – ასეთია საყოველთაო აზრი, მაგრამ როცა საქმე რამდენიმე ათეულ მილიონს შეეხო, „ქვეყანა და სიმბოლო“ ჩვეულებრივ სიტყვებად იქცა.

დანი ალვეში ციხიდან გამოუშვეს, რობინიო – ჩასვეს

ბრაზილიის ნაკრების ყოფილი წევრები, ერთი-მეორეს მიყოლებით ეხვევიან უსიამოვნო ამბებში. ჯერ დანიელ ალვეშის ისტორია არ იყო გაციებული, რომ სამართალდამცავები მადრიდის „რეალისა“ და ნაკრების ყოფილ ვარსკვლავს, რობინიოს მიადგნენ და ციხეში თავი 9 წლით უკრეს.

„2017 წელს, იტალიის სასამართლომ, ჯგუფურ გაუპატიურებაში მონაწილეობისთვის, რობინიოს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. იმ დროისთვის ფეხბურთელი სამშობლოში იმყოფებოდა, ჩვენ ძიების პროცესს აქტიურად ვადევნებიდთ თვალს და იტალიური მხარისგან კონკრეტულ დოკუმენტებს ველოდით. ჩამოვიდა ყველა დოკუმენტი და დავრწმუნდით, რომ რობინიო მართლაც დამნაშავეა, თუმცა ბრაზილია საკუთარ მოქალაქეებს სხვა ქვეყანას არ გადასცემს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვეტერანი ფეხბურთელი დაუსჯელი დარჩება – ის უკვე დაკავებულია და 9 წელს ბრაზილიის ციხეში მოიხდის“, – განაცხადა ქვეყნის გენერალურმა პროკურორმა.

ამასობაში კი, სასჯელაღსრულების დაწესებულება დანი ალვეშმა დატოვა. იმის მიუხედავად, რომ მას სასჯელი მისცეს, ადვოკატებმა გადაწყვეტილება გააასაჩივრეს და სასამართლო მზად იყო, ალვეში გაეშვა, თუმცა გირაოს სანაცვლოდ მილიონ დოლარს ითხოვდა. თანხა მეგობარს ბრაზილიის ნაკრების კდიევ ერთმა ვარსკვლავმა, ნეიმარმა გადაუხადა და ახლა ალვეში თავისუფლებაზეა, თუმცა ქვეყნის დატოვება აკრძალული აქვს და მას, როგორც ესპანური, ისე – ბრაზილიური პასპორტი ჩამოართვეს.

მედიამაგნატი მეხუთედ ქორწინდება

მედიამაგნატი რუპერტ მერდოკი, რომელიც რამდენიმე დღეში 93 წლის შესრულდება, ოთხჯერ იყო დაქორწინებული. ის კვლავ დანიშნულია და მეხუთე ცოლის მოყვანას აპირებს. ამჯერად მისი რჩეული 67 წლის ელენა ჟუკოვაა, რუსი მეცნიერი, რომელიც მერდოკმა შარშან გაიცნო. ელენას ყოფილი ქმარი, ალექსანდრ ჟუკოვი რუსი მილიარდერი, ენერგეტიკის სფეროს ინვესტორი და პოლიტიკოსია. მათი ქალიშვილი დაშა კი რომან აბრამოვიჩის ცოლი იყო. გასულ შემოდგომას, მედიამაგნატმა დატოვა Fox News-ისა და News Corp-ის ხელმძღვანელის პოსტი. მისი ადგილი მედია-იმპერიაში შვილმა, ლაჰლანმა დაიკავა.

წვეთები სათვალის ნაცვლად

ამერიკის შეერთებულ შტატებში ნებადართულია პრეპარატი, რომელიც სათვალეს ცვლის. თვალის წვეთები „ვიიუიტი“ ასაკობრივი შორსმხედველობისთვის არის განკუთვნილი. წამლის ჩაშვებიდან უკვე 15 წუთში იგრძნობა ეფექტი და ის 6-დან 10 საათამდე გრძელდება. ამ დროს სათვალის ხმარება აღარ არის საჭირო. აშშ-ში, 30-დღიანი მკურნალობის კურსი, დაახლოებით, 80 დოლარი ჯდება. პრეპარატის გვერდითი მოვლენები, რაც კლინიკური ცდებისას გამოვლინდა, არის თავის ტკივილი, თვალების სიწითლე და ღამით მხედველობის დაქვეითება.

დედა, ქმარი თუ ღმერთი?

ვის ემადლიერებიან ყველაზე ხშირად „ოსკაროსნები“

სულ ცოტა ხნის წინ, „ოსკარის“ დაჯილდოების მორიგი, 96-ე ცერემონია შედგა. ამერიკული კინოაკადემიისგან გამორჩეულებმა მიიღეს საოცნებო ჯილდო და სამადლობელი სიტყვებიც ითქვა „დოლბის“ დარბაზის სცენიდან. ზოგადად, ეს სამადლობელი სიტყვა პრემიების გადაცემის საზეიმო ცერემონიის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილია, ისეთივე აუცილებელი, როგორიც წითელი ხალიჩა. Los Angeles Times-მა გადაწყვიტა, გაერკვია, ვის უხდიან სცენიდან მადლობას გამარჯვებულები ყველაზე ხშირად. ამისთვის მან აკადემიის მონაცემთა ბაზა გააანალიზა, რომელიც 1 500-ზე მეტ სიტყვით გამოსვლას შეიცავდა და შედეგად ერთგვარი რეიტინგიც შეადგინა. სიის სათავეში თავად კინოაკადემია აღმოჩნდა – 864 სამადლობელით. „ოსკარის“ გადაცემისას, მას ხუთჯერ უფრო ხშირად უხდიან მადლობას, ვიდრე ღმერთს, დედებს კი ოთხჯერ მეტად, ვიდრე ქმრებს. 2023 წელს, კინოაკადემიის პრემია „საუკეთესო მსახიობი ქალის“ ნომინაციაში მიშელ იეომ მოიპოვა ფილმით – „ყველაფერი ყველგან ერთდროულად“. მან გამარჯვება მიუძღვნა საკუთარ დედას და „ყველა დედას მსოფლიოში“.

ადრე, როცა „ოსკარის“ ცერმონია რადიოთი გადაიცემოდა, გამოსვლებიც მეტად მოკლე იყო – მადლობის სწრაფად გადახდა და მეტი არაფერი. 1943 წელს, გრირ გარსონმა (საუკეთესო მსახიობი ქალი, „მისის მინივერი“) მადლობის თქმას მთელი ექვსი წუთი მოანდომა, მადლობა გადაუხადა უამრავ ადამიანს, მათ შორის, კალიფორნიის გუბერნატორსაც კი. „სიტყვაუხვობა“ უკვე დიდი პრობლემა გახდა 50-იანი წლებიდან, ტელევიზიის გაჩენის შემდეგ. კინემატოგრაფიულ ხელოვნებათა და მეცნიერებათა ამერიკულმა აკადემიამ, საბოლოოდ, სიტყვით გამოსვლის 45-წამიანი ლიმიტი დაადგინა. ხანგრძლივი გამოსვლები, როგორც წესი, უფრო პირადული იყო, ოჯახისა და მეგობრების ხსენებით.

ალბათ, გასაკვირი არც ის უნდა იყოს, რომ ბოლო 80 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, რეიტინგის მიხედვით, ცოლებს მადლობა 338-ჯერ გადაუხადეს. ჯეფრი რაშმა (საუკეთესო მსახიობი, 1997 წელი) საერთო მოსაზრება გამოხატა, როცა „დოლბის“ სცენიდან ცოლს მიმართა: „უშენოდ მე აქ არ ვიდგებოდი“. აი, ქმრებს კი, სამადლობელ სიტყვაში გაცილებით ნაკლებად ახსენებენ – სულ 70-ჯერ. ალბათ, იმიტომ, რომ ისტორიულად, მამაკაცები ამ სანუკვარ ჯილდოზე გაცილებით ხშირად არიან წარდგენილები, ვიდრე ქალები. ერთ-ერთი, ვინც ამ განსაკუთრებულ წუთებში საკუთარი მეუღლე არ დაივიწყა, მერილ სტრიპი (საუკეთესო მსახიობი ქალი, „რკინის ლედი“, 2012 წელი) იყო. „თავიდან მინდა, დონს გადავუხადო მადლობა, რადგან თუ ის სიტყვის ბოლოსთვის შემოვინახე, მას მუსიკა გადაფარავს“, – განაცხადა სტრიპმა. საქმე ის არის, რომ ვინც 45-წამიან ლიმიტს გადააჭარბებს, წესის მიხედვით, მას სიტყვა ორკესტრმა უნდა შეაწყვეტინოს.

გასული ათწლეულების განმავლობაში, ოსკაროსნებისგან დედის მიმართ სამადლობელი 295-ჯერ გაჟღერდა. 1994 წელს, სტივენ სპილბერგმა (საუკეთესო რეჟისორი, „შინდლერის სია“) საკუთარ მშობელს მისი „თილისმა“ უწოდა. შედარებით ნაკლებად ახსენებენ მამებს.

კინოაკადემიის მონაცემთა ბაზაში ღმერთი 1940 წლიდან გაჩნდა, როცა ჰეტი მაკდენიელმა (საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლი, „ქარწაღებულები“) საკუთარი სამადლობელო სიტყვა ამგვარად დაასრულა: „ღმერთმა დაგლოცოთ“. მას შემდეგ, უფლის სამადლობელი სცენიდან 162-ჯერ გაჟღერდა. მთლიანობაში, გამოცემის მიერ შედგენილი რეიტინგი ასე გამოიყურება: აკადემია – 864, ცოლი – 338, დედა – 295, მამა – 219, ღმერთი – 162, ქმარი – 70, ჰოლივუდის აგენტი – 48, სტივენ სპილბერგი – 46.

მასკს ზრდასრული „შვილი“ გამოუჩნდა

კენიელმა მამაკაცმა, რომელიც სოციალურ ქსელში „ილონ მასკი-უმცროსის“ სახელითაა დარეგისტრირებული, X-ში პოსტი განათავსა, რომელშიც აცხადებს, რომ ის მილიარდერის უკანონო შვილია. ახალგაზრდა კაცმა ყველა გულკეთილ ადამიანს სთხოვა, დაეხმარონ, რომ „ბიოლოგიურ მამას“ დაუკავშირდეს, რადგან ის უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობს. საკუთარი სიტყვების დასადასტურებლად, კენიელმა რამდენიმე ფოტოც გამოაქვეყნა და დასძინა, რომ დედამისი კენიის ერთ-ერთ სასტუმროში მენეჯერად მუშაობდა, სადაც 90-იან წლებში, ილონ მასკი იყო გაჩერებული. მამაკაცის ასაკი უცნობია, ხოლო ფოტოებს თუ დავუჯერებთ, მსგავსებაც აშკარაა.

ყველაზე ფართო წყალქვეშა გვირაბს აშენებენ

აპენინებზე, გენუაში, ევროპის ყველაზე ფართო წყალქვეშა გვირაბის მშენებლობას იწყებენ. მისი გახსნა 2029 წლისთვისაა დაგეგმილი. ეს გვირაბი, რომლის სიგრძეც 3.4 კილომეტრი იქნება, 45 მეტრის სიღრმეზე, პორტის აკვატორიაზე აშენდება და ქალაქის დასავლეთ და აღმოსავლეთ სანაპროებს დააკავშირებს. ის იტალიის ყველაზე გრძელი და ევროპაში ყველაზე ფართო წყალქვეშა გვირაბი იქნება: 16-16 მეტრი მოძრაობის ორივე მიმართულებით. ასეთი სატრანსპორტო არტერიის შექმნა განტვირთავს გზებს და გაათავისუფლებს 25 ათასზე მეტ კვადრატულ მეტრ ფართობს პარკებისა და სხვა მწვანე ზონების შესაქმნელად.

წნევის უებარი წამალი შავი შოკოლადია

სწავლულებმა დაადგინეს, რომ შავი შოკოლადი არა მხოლოდ ამცირებს სულიერი განცდების სიმძაფრეს, არამედ, სხეულის გაჯანსაღებასაც ეხმარება. ამის დასტურია ამერიკის გულის დაავადებათა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები. სწავლულებმა ბოსტონიდან, პირველი, კლინიკური ექსპერიმენტით აღმოაჩინეს, რომ ჰიპერტონიით დაავადებულებს წნევა 12 პუნქტით შეუმცირდათ, როცა ორი კვირის განმავლობაში, ერთ ფილა შავ შოკოლადს მიირთმევდნენ. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ეს ტკბილეული არა მხოლოდ ამცირებს სისხლის წნევას, არამედ, აუმჯობესებს სისხლძარღვების მუშაობას. ეს კი ამცირებს გულის დაავადებათა რისკებს. ეს ყველაფერი კი ფლავანოიდების დასახურებაა, ნივთიერების, რომელსაც კაკაო შეიცავს და რაც ორგანიზმში გლუკოზის ცვლას აუმჯობესებს. თუმცა, სწავლულები გვაფრთხილებენ, რომ არ ღირს წნევის შემცირება ბევრი შოკოლადის მიღების ხარჯზე, შესაძლოა, ამან უძილობა გამოიწვიოს. თანაც, ეს „წამალი“ დიდი რაოდენობით ცხიმს, შაქარსა და კალორიებს შეიცავს.

გოჭების ჩამხუტებელს ეძებენ

სამხრეთ კაროლინაში მდებარე ცხოველთა თავშესაფარში ვაკანსია გამოცხადდა მოხალისეებისთვის, რომლებიც გოჭებს „სოციალიზაციაში“ უნდა დაეხმარონ. ახალი თანამშრომლის მოვალეობაში შედის ცხოველების ჩახუტება და მოფერება, მათი დავარცხნა და ორცხობილებით დაპურება. თავშესაფრის მფლობელები მიიჩნევენ, რომ ეს დაეხმარება მათ გოჭებს ადამიანებთან შეჩვევასა და ახალ პატრონთან შეგუებაში. ამჟამად, ფერმაში, დახლოებით, 100 ღორი და სხვა უამრავი ცხოველია. მფლობელების თქმით, თუ ადამიანებს სურთ მათი ცხოველების დახმარება და მოხალისედ მუშაობას ვერ ახერხებენ, შეუძლიათ, თანხით შეეწიონ, ან ცხოველებისთვის რამე იყიდონ.

ხმის იოგებს პატჩები შეცვლის?

ამერიკელმა სწავლულებმა, კალიფორნიის ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტიდან, სპეციალური პატჩები შექმნეს, რომელიც ხმის იოგების გამოყენების გარეშე, ადამიანებს ლაპარაკის საშუალებას აძლევს. ინფორმაციის თანახმად, მცირე ზომის მოქნილ მოწყობილობას შეუძლია ამოიცნოს ლაპარაკთან დაკავშირებული ყელის მოძრაობა, რომლითაც ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. ამის გამო, მას ბატარეა არ დასჭირდება. სიახლის საფუძველი გალგენოლია – რკინისა და გალიუმის შენაერთი, რომლის მაგნიტური მდგომარეობა იცვლება შეკუმშვისა და დეფორმაციის დროს. პატჩში შემავალი გალფენოლო რეაგირებს ყელის კუნთების მცირე დაძაბულობაზე, წარმოქმნის ელექტრულ სიგნალებს, რომლებიც შესაძლოა, მეტყველებაში გადავიყვანოთ. პატჩი ხუთი უთხელესი ფენისგან შეგება. გარე გარსი რბილი და მოქნილი სილიკონისგანაა, შიდა ნაწილი კი მიკრომაგნიტებს შეიცავს. ახალი ტექნოლოგიის დემონსტრირებისას, ალგორითმის მეშვეობით, მან 95%-იანი სიზუსტით გადაიყვანა ელექტრული იმპულსები მეტყველებაში.

ცისფერი ლუდი ჩამოასხეს

ფრანგულმა ლუდსახარშმა Hoppy Urban Brew-მ, Etika Spirulina-თან ერთად, რომელიც ლურჯ-მწვანე წყალმცენარის – სპირულინას მოშენებითაა დაკავებული, განსაუთრებული სასმელი ჩამოასხა, მკვეთრად გამოხატული ფერით. ლუდის მწარმოებლების თქმით, მრავალრიცხოვანი ცდების შედეგად, მათ მიაგნეს რეცეპტს, რომლის წყალობითაც სასმელის სასურველ ფერსა და გემოს მიაღწიეს. სპირულინა ლუდს ცისფერ შეფერილობას ანიჭებს, ამასთან ნატურალური საღებავის გამოყენება არ ახდენს გავლენას სასმელის საბოლოო გემოზე. ცისფერმა ლუდმა Line, რომელიც მცირე რაოდენობით ალკოჰოლს შეიცავს, მომხმარებლებში დიდი ინტერესი გამოიწვია. ლუდსახარში ახლა წარმოების გაფართოებას გეგმავს, რადგან მათი თქმით, სამ თვეში, 1500-ზე მეტი ბოთლის გაყიდვა უკვე ექსპერიმენტის წარმატებაზე მიუთითებს.

პიცას ვულკანურ ლავაზე აცხობს

გვატემალელი მარიო მანსილია ვულკან პაკაიას მახლობლად გაიზარდა. ეს ვულკანი დღემდე საკმაოდ აქტიურია. მარიოს წარმოდგენაც კი არ შეეძლო, თუ ოდესმე, მას პიცის გამოსაცხობად გამოიყენებდა. დღესდღეობით, პიცა პაკაია, ვულკანის მონახულების აუცილებელი „ატრიბუტია“. ტურისტები დამატებით თანხას იხდიან, რომ მანსილიამ მათთვის ვულკანის გავარვარებულ ფერდობზე, ლავის მდინარეების გვერდით, გემრიელი პიცა გამოაცხოს. „ცეცხლოვანი“ პაკაიას ერთგვარ საცხობად გამოყენების იდეა მარიოს 2014 წელს გაუჩნდა – მთაზე ასულმა დაინახა, ტურისტები როგორც წვავდნენ ლავაზე ზეფირს. სწორედ მაშინ გაუნათდა გონება და ყოფილმა ბუღალტერმა გადაწყვიტა, მსგავსი რამით ცოტაოდენი ფული ეშოვა. თავიდან სტეიკისა და ქათმის შეწვა სცადა, თუმცა მალევე მიხვდა, რომ საამისოდ, ვულკანზე ბევრი ჭურჭლის თრევა მოუწევდა, საბოლოოდ გადაწყვიტა, პიცა გამოეცხო. ჩანაფიქრმა გაამართლა და დღეს, მანსილიას პიცის დაგემოვნების გარეშე, პაკაიადან თითქმის არც ერთი ტურისტი არ ბრუნდება.

სახლის შეღებვისთვის უჩივლეს

აშშ-ში, ქალაქ ნეიპლსის მცხოვრებლებმა მეზობელს მას შემდეგ უჩივლეს, რაც მან კაშკაშა ფერებით შეღება საკუთარი სახლის კედლები და ეზო. გარშემო მცხოვრებმა ადამიანებმა ვერ გაიგეს, რა საჭირო იყო 500-ათას დოლარად შეფასებული შენობის ასე წახდენა და მისი მფლობელის ნორმალურობაში ეჭვი შეიტანეს. 41 წლის ჯეფრი ლიბმანი კი მთელი კვირა „მუშაობდა“ – სახლის „მოსაწყენ“, ნაცრისფერ კედლებს ლამის სხვა ყველა ფერის საღებავი შეასხა. სახლის სახურავი ნარინჯისფერ, ვარდისფერ და ინდიგოს ფერებში გადაღება. ლიბმანს არც საკუთარი მანქანა დავიწყებია და ის „მოძრავ ცისარტყელად“ აქცია. სახლის წინ მდელო, მწვანის ნაცვლად, მკვეთრი ლურჯი ფერი გახდა, ეზოში მდგარი პალმა კი ყვითელ-ვარდისფერ-ცისფერ ფერებში გადაწყვიტა. ქალაქის პრესტიჟული კვარტლის მცხოვრებლებმა არ დააფასეს ლიბმანის სახლის ახალი დიზაინი და მას სასამართლოში უჩივლეს. საქმე წარმოებაშია და რა შედეგს გამოიღებს, მოგვიანებით გახდება ცნობილი.

McDonald's-ში ტრენაჟორები დადგეს

ჩინეთში, McDonald's-ის რამდენიმე რესტორანში, მაგიდებთან ველოტრენაჟორები დადგეს, რომლებზეც მომხმარებლები ჭამის დროს ვარჯიშობენ. როგორც ირკვევა, ტრენაჟორები სწრაფი კვების ობიექტებში რამდენიმე თვის უკან დადგეს, ნახშირორჟანგის გამონაბოლქვის შემცირების პოლიტიკის მხარდასაჭერად. ამ ეტაპზე, რესტორნებში სულ 10 ასეთი სავარჯიშო დგას. ველოტრენაჟორზე ვარჯიშის დროს, მოწყობილობა ელექტროენერგიასაც გამოიმუშავებს და კლიენტები მობილური ტელეფონების დამუხტვასა შეძლებენ. სპეცალისტების თქმით, ასეთი ტრენაჟორის გამოყენებისას, ადამიანი 25-დან 800-მდე კილოკალორიას წვავს.

დრონი ლეონარდოს ნახაზებით ააწყვეს

მერილენდის უნივერსიტეტის ასპირანტმა, ოსტინ პრეტემ უპილოტი კვადროკოპტერი, ლეონარდო და ვინჩის XV საუკუნის ესკიზებით შექმნა. 1480 წელს, იტალიელმა გენიოსმა ერთადგილიანი მფრინავი აპარატის კონსტრუქცია დახაზა, რომელიც საჰაერო ვინტების დახმარებით მოძრაობს. ამ იდეის შესამოწმებლად, ორი წლის წინ, უნივერსიტეტის ინჟინრებმა ამ ტექნოლოგიის ტესტირება მოაწყვეს, რაც წარმატებით ჩატარდა. მოგვიანებით, პრეტემ დრონი ააწყო, რომელშიც და ვინჩის ეს კონსტრუქცია გამოიყენა და რამდენიმე მოკლე ფრენაც განახორციელა. ასეთი შედეგით თავად სპეციალისტებიც კი გაოცებულები დარჩნენ. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ლეონარდოს ტექნოლოგია დიდი მფრინავი აპარატებისთვისაც გამოდგება, რომელიც ადამიანებსაც მოემსახურება.

თამაშებით გატაცება დაავადებად აღიარეს

ვიდეოთამაშებით გატაცება ამიერიდან ოფიციალურად ითვლება დაავადებად. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ დაავადებების განახლებული კლასიფიკაცია საკუთარ საიტზე გამოაქვეყნა. როგორც ამ დოკუმენტიდან ირკვევა, კომპიუტერული თამაშებით ზედმეტად გატაცება ფსიქიკური აშლილობების რიცხვს განეკუთვნება. შესაბამისი დიაგნოზის დასასმელად აუცილებელია, ერთი წლის განმავლობაში ადამიანს აღენიშნებოდეს „სათამაშო აშლილობის“ ნიშნები, რაც ნეგატიურად აისახება მის სოციალურ, პროფესიულ და ოჯახურ ცხოვრებაზე. დიაგნოზი კი მხოლოდ სწავლებაგავლილმა პროფესიონალმა მედიკოსმა უნდა დასვას.

„სიგარეტი“ ნარკოდამოკიდებულებისთვის

სწავლულებმა კოკაინიანი ელექტროსიგარეტი მოიფიქრეს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ნარკოდამოკიდებულები არიან. ამ გამოგონებამ მათ თავიდან უნდა ააცილოთ ზედოზირება და რეაბილიტაციის გავლისკენ უბიძგოს. გარეგნულად crack pen ჩვეულებრივ ელექტროსიგარეტს ჰგავს. მასში არის აკუმულატორი, გამაფრქვეველი და კარტრიჯი სითხით, თუმცა ნიკოტინის ნაცვლად, კოკაინს იყენებენ. სიახლის ავტორების თქმით, ასეთი „სიგარეტი“ ნარკოტიკების კრიმინალიზაციის რისკებს აღმოფხვრის, თანაც დამოკიდებული ადამიანები მიიღებენ ნარკოტიკს, რომელიც არ იქნება გაზავებული საშიში ქიმიკატებით.

ძილისგუდებს ფულს მაღვიძარა ჩამოაჭრის

პროგრამისტებმა, ამომავალი მზის ქვეყნიდან, ახალი აპლიკაცია – Mezamee წარადგინეს, რომელიც მომხმარებელს, დაგვიანების შემთხვევაში, მითითებული საბანკო ბარათიდან თანხას ჩამოაჭრის. აპლიკაციის მიზანია, მომხმარებელს დაეხმაროს, რათა არ დააგვიანოს. ამისთვის მან აპლიკაციაში მონაცემები უნდა შეიყვანოს, რომელ საათზე უნდა იყოს ამა თუ იმ ადგილას. თუ დათქმულ დროს, საკუთარ სახლთან 100 მეტრზე ახლოს იქნება, აპლიკაცია მას ბარათიდან გარკვეულ თანხას ჩამოაჭრის. ადამიანს თავად შეუძლია გადაწყვიტოს, რა თანხას დაკარგავს დაგვიანების შემთხვევაში. „ჯარიმის“ მინიმალური ოდენობა 100 იენია.

ელექტრომობილებს გზა დამუხტავს

შვედეთში გზა გახსნეს, რომელიც ელექტრომობილებს პირდაპირ მოძრაობის დროს დამუხტავს. ამით მოგვარდება ელექტროკარების მთავარი პრობლემა – „სანვავის“ მცირე მარაგის არსებობა. პროექტ eRoadArlanda-ის ჯგუფმა განაცხადა, რომ უკვე დაასრულეს გზის 2-კილომეტრიანი მონაკვეთის ელექტროფიცირება. ეს გზა სატრანსპორტო კვანძ როზერსბერგს, სტოკჰოლმ-არლანდის აეროპორტის ტერმინალთან აკავშირებს. კონსტრუქცია სათამაშო მანქანების ტრეკს ჰგავს: გზის საფარში საკონტაქტო რელსია ჩამონტაჟებული და ელექტროენერგია მხოლოდ მაშინ მიეწოდება, როცა მასზე ელექტრომანქანა გაივლის. პროექტის ავტორების განცხადებით, ასეთი გზების დაგება 50-ჯერ იაფი ჯდება, ვიდრე ტრამვაის ხაზის გაყვანა, თანაც კონტაქტური რელსით გზის მხოლოდ 5%-ის აღჭურვა საკმარისი იქნება. ამ და სხვა მსგავსი პროექტებით, შვედეთის მთავრობა ცდილობს, 2050 წლისთვის, „ნახშირბადის ნეიტრალიტეტს“ მიაღწიოს.

პენსიისთვის სქესი შეიცვალა

შვეიცარიის ქალაქ ლუცერნის მცხოვრებმა მამაკაცმა სქესი შეიცვალა, რათა უფრო ჩქარა გახდეს პენსიონერი. თუმცა, ქალი ის მხოლოდ საბუთებით გახდა. საქმე ის არის, რომ შვეიცარიაში მოქმედებს კანონი, რომელიც მნიშვნელოვნად ამარტივებს დოკუმენტებში სქესის შეცვლის პროცედურას. ახლა ამისთვის მხოლოდ განცხადების დაწერა და ადმინისტრაციული მოსაკრებლის – 75 ფრანკის გადახდაა საკმარისი. აქამდე, ამ პროცედურისთვის სამედიცინო დიაგნოსტიკის, ჰორმონალური თერაპიისა და ექიმის ცნობის წარდგენა იყო საჭირო. ჩანს, გამჭრიახმა მამაკაცმა ახალი წესებიდან სარგებლის ნახვა გადაწყვიტა – შვეიცარიაში, ქალები 64 წლის ასაკში ხდებიან პენსიონერები, მამაკაცები – 65-ის. ის ახლა ერთი წლით ადრე გავა პენსიაზე და რაც მთავარია, ლეგალურად.

წყალმცენარეებისგან ნაღებიც დაამზადეს

კომპანია „ნესტლეს“ სპეციალისტებმა ურძეო ნაღები შექმნეს, რომლის საფუძვლადაც ზღვის წყალმცენარეები და მცენარეული ცხიმი გამოიყენეს. პროდუქტს მსუბუქი ნაღების გემო აქვს, კონსისტენციით კი იოგურტს ჰგავს. ახალი ნაღები მშვენივრად, აჭრის გარეშე იხსნება, როგორც ცხელ, ისე ცივ სასმელებში და ნახევარი წლის განმავლობაში, საკმაოდ ცხელ – პლიუს 20-38 გრადუსამდე ტემპერატურაზე ინახება. თავდაპირველად, მას ყავისთვის ქმნიდნენ, თუმცა მწარმოებლის თქმით, ნაღების ეს მცენარეული ანალოგი თავისუფლად შეგიძლიათ დამატოთ ჩაიში, კაკაოში, სხვა სასმელსა და მშრალ საუზმეშიც კი.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.